საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 25 ოქტომბერი. 2018 წ. №213 (8614) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი:

ერთ წელიწადში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა!

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ და ქვეყნის ყველაზე გავლენიანმა ადამიანმა ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, ჟურნალისტებისთვის ვრცელი სატელევიზიო ინტერვიუ მიეცა.

JAM-NEWS.NET-მა მოამზადა მასალა, სადაც გუშინდელი ინტერვიუდან მნიშვნელოვანი დეტალებია აღნიშნული.

ეს მისი პირველი ინტერვიუა მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში.

ივანიშვილმა ინტერვიუს ფორმატი თავად მოიფიქრა, ტელეკომპანიები და ჟურნალისტებიც თავად შეარჩია და ინტერვიუს მოდერატორიც თავადვე იყო. ინტერვიუც მხოლოდ მისი პირადი ინიციატივით შედგა.

ივანიშვილმა თავდაპირველად ინტერვიუზე სხვა ჟურნალისტები დაპატიჟა, თუმცა ისინი არ მივიდნენ. საბოლოოდ ინტერვიუ შედგა სამი ტელეკომპანიის პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანებთან – ეკა კვესიტაძესთან („რუსთავი-2“), დიანა ტრაპაიძესთან („ტვ პირველი“) და ირაკლი ჩიხლაძესთან („ტვ იმედი“).

ინტერვიუ საღამოს ორსაათნახევარს გაგრძელდა.

JAMnews-მა მოკლედ შეაჯამა ყველაზე მთავარი, რაც ინტერვიუში ითქვა:

„რუსთავი-2“ ოპოზიცია კი არა ხალხის მტერია!

ყოფილი პრემიერი მიიჩნევს, რომ საქართველო რეგიონში ლიდერია ეკონომიკური ზრდის მიხედვით, მაგრამ მოსახლეობა ამას ვერ ამჩნევს, რადგან „რუსთავი-2“ საპირისპიროს ამტკიცებს.

ივანიშვილის თქმით, „რუსთავი-2“-ს საზოგადოების ნაწილი მძევლად ჰყავს აყვანილი და ატყუებს, თუმცა მალე ეს ასე აღარ იქნება:

ამასაც გპირდებით „რუსთავი-2“-ს არ ექნება საშუალება, მოახერხოს რომ განსხვავებული აზრი არ შევიდეს ტელევიზიაში, რომ ჩაკეტოს და მძევლად აიყვანოს საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი“, – თქვა ივანიშვილმა. მისი ეს სიტყვები ტელეკომპანიამ, რომელსაც უკვე წლებია, ხელისუფლება სხვადასხვა პრობლემებს უქმნის, მუქარად აღიქვა.

ყოფილი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე, რომელსაც ბიზნესმენზე ზეწოლაში ადანაშაულებენ, ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუს დროს დაიცვა.

ფარცხალაძე ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის მიერ გამოქვეყნებულ სკანდალურ ფარულ ჩანაწერებში ფიგურირებს. ოქუაშვილი ფარცხალაძეს რეკეტსა და ასევე სპორტის ყოფილი მინისტრის ლევან ყიფიანის გატაცებასა და ცემაში ადანაშაულებს. ფარცხალაძის მონაწილეობას ამ საქმეში მოწმობს ფარული ჩანაწერებიც.

„რატომ უნდა დავსაჯო ფარცხალაძე, გაუგებარია“, – თქვა ივანიშვილმა. მისი თქმით, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება ყოფილი პროკურორის წინააღმდეგ. ფარული ჩანაწერები კი, ივანიშვილის თქმით, ფალსიფიცირებული და დამონტაჟებულია.

ივანიშვილმა ასევე უარყო ზაზა ოქუაშვილის ბრალდება, თითქოს ბიზნესმენები საქმის გასარჩევად“ ბიძინა ივანიშვილთან დადიან. ივანიშვილმა თქვა, რომ ოქუაშვილის თამბაქოს ბიზნესს ჰქონდა პრობლემები და ის მასთან რჩევის საკითხავად მივიდა.

იხ. 2 გვ.

ლექსპრომტი აგენტსა და აგენტუნაზე

– ჯიბის ფულად თვეში 25 ათას დოლარს მაძლევენ და შენც მოგცემენ, თუ შემოგვიერთდებიო!- შეუთავაზებია სააკაშვილს თეიმურაზ შაშიაშვილისთვის „ვარდების რევოლუციის“ წინ (ამონარიდი ინტერვიუდან).

ქრთამად იღებს მხოლოდ დოლარს,
არც თეთრს, არც ლარს
არ თვლის ფულად,
ვინც იყიდა-დაიმონა,
სურს, გაგვხადოს იმის ფურად,
ათასს ოცდახუთჯერ თვეში
რადგან აძლევს ჯიბის ფულად...
რაზეც გნებავთ, დავდებ ნაძლევს,
ფულს ის უხდის კვესიტაძეს!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისიდან

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB76015360-20100009. (შპს „ახალი საუკუნე“).



3 პარტიებისგან გაუსაძლის მდგომარეობაში ჩაგდებული ხალხი, თვითკმაყოფილი „ქართული ოცნება“ და გაბოროტებული „ნაცმოძრაობა“ საკუთარი დანაყოფებით!

როსტომ ჩხეიძე: ④ **ამორძალთა საუფლო**

ფრანკფურტული დღეების ექო

გურამ გაფრინდაშვილი: ⑥ **უგნურთა დაწუნებული ჭკვიანთა სანატრელია**

(პირველი გვერდიდან) **„ბიზნესმენთან შეხვედრა, ბიზნესმენის რანგში დანაშაულად აღიქმება? იცით მე რამდენ ბიზნესმენს ვხვდები? ძალიან კარგია, რომ ისინი დადიან ჩემთან და ასეც გაგრძელდება“,** — თქვა ივანიშვილმა და ამ ინფორმაციის გავრცელებაშიც ბრალი „რუსთავი-2“-ს დასდო.

ივანიშვილმა ასევე უარყო ოქუაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ივანიშვილმა მას ბიზნეს-პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ ოთხი მილიონი მოსთხოვა:

„ეს კაცი ყველაფერს იწერს და რატომღაც ეს ჩანაწერი დღემდე არ ჩანს“ — თქვა ივანიშვილმა.

სახლები სულ არ ჰგვანან ფეშენებელურს!

ივანიშვილს ჰკითხეს, თუ რას ფიქრობდა ის მედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე მინისტრებისა და პარლამენტარების უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

ივანიშვილმა ამ ინფორმაციასაც „რუსთავი-2“-ის მიერ მოგონილი სიცრუე უწოდა.

მისი თქმით, „რუსთავი-2“-ის მიერ ნაჩვენები არც ერთი სახლი არ აუშენებიათ ხელისუფლების წარმომადგენლებს ბოლო წლებში და ბევრი ამ სახლებიდან და მიწის ნაკვეთებიდან საერთოდაც არ ეკუთვნოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს.

განსაკუთრებით დეტალურად მან დეპუტატ ირაკლი სესიაშვილის სამსართულიან ფეშენებელურ სახლზე ისაუბრა. ივანიშვილმა პირდაპირ ეთერშივე გაიკეთა კალკულაცია, თუ რა დაჯდებოდა დეპუტატის სახლი და ჟურნალისტების ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სესიაშვილის აუზში წყალი არ არის:

„სესიაშვილის სახლი 310 კვადრატული მეტრია, არის მხოლოდ შავი კარკასი აშენებული და მინებია ჩასმული — მაქსიმუმი ფასი არის 140 დოლარი, როდესაც კომპანიას არ ქირაობ, მისი აშენება შეგიძლია 100 დოლარად და 100 დოლარი რომ გავამრავლოთ 310-ზე გამოვა 31 000 დოლარი. აუზი საერთოდ „კაპიკი“ დაჯდებოდა, არ არის ეს აუზი გაშვებული და არ ფუნქციონირებს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

სად ხორავას საქმე და სად გირგვლიანის მკვლელობა!

ივანიშვილმა თქვა, რომ ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდის მკვლელობის საქმე „მთელი ქვეყნის ტრაგედიაა“, თუმცა სახელმწიფოს დანაშაული ამ საქმეში არ იკვეთება.

ყოფილი პრემიერი არ ეთანხმება შვილმკვდარი მამის ზაზა სარალიძის ბრალდებას, რომ მაღალჩინოსნები ხელს აფარებენ მკვლელებს.

მისი თქმით, უნდა დაველოდოთ სასამართლოს გადაწვეტილებას:

„ჯერ არ დასრულებულა სასამართლო. მხოლოდ პირველი ინსტანცია დასრულდა. მეორე ინსტანცია მიდის დღეს და მერე — მესამე... არსად იკვეთება, რომ დღევანდელ სახელმწიფოს და დღევანდელ ხელისუფლებას რაიმე ინტერესი ჰქონდა ამ მკვლელობაში და საპარლამენტო კომისიამაც ვერაფერი მსგავსი ვერ აჩვენა“, — თქვა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ხორავას საქმის გირგვლიანის საქმესთან შედარება არის ცინიზმი, რადგან გირგვლიანის შემთხვევაში მკვლელი იყო სახელმწიფო.

ივანიშვილმა „მაღალი სტანდარტი“ უწოდა ხორავას საქმის გამო ყოფილი მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის გადადგომის ფაქტს. თავად ივანიშვილი მიიჩნევს, რომ შოთაძეს ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვოდა.

გაფრთხილება თანაგუნდელებს!

საკმაოდ მკაცრი ტონი ჰქონდა ივანიშვილს, როდესაც საკუთარ თანაგუნდელებზე საუბრობდა.

მისი საუბრიდან აშკარაა, რომ ის არ არის კმაყოფილი მმართველი ძალის მუშაობით.

მან საზოგადოებას ერთწლიანი პერიოდიც კი სთხოვა და ამ პერიოდში გუნდის „კიდევ უფრო გაძლიერებას“ დაჰპირდა. მან თქვა, რომ ერთ წელიწადში „ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა“.

„მე მოვახერხებ, რომ ვერტიკალი გუნდში გავამყარო... ნიჭიერები უფრო წინ წამოვიდნენ და უფრო აქტიურები გახდნენ. უფრო მკაცრი მოთხოვნები იქნება „ქართული ოცნების“ ყველა წევრის მიმართ. მაქსიმუმ ერთ წელიწადში ჩვენს საზოგადოებაში ყველას თავისი სახელი ერქმევა და ყველას თავის ადგილი ექნება“, — თქვა ივანიშვილმა.

სალომე საუკეთესო კანდიდატია

ივანიშვილმა ბევრი ისაუბრა სახელისუფლებო გუნდის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატზე სალომე ზურაბიშვილზე და მას ყველაზე ღირსეული ქალბატონი უწოდა.

მან თქვა, რომ ზურაბიშვილის მხარდაჭერა სწორი არჩევანი იყო და ამაში „ქართული ოცნების“ ის

ბიძინა ივანიშვილი:

ერთ წელიწადში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა!

ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს მთავარი დეტალები

წევრებიც დარწმუნდნენ, რომლებიც თავიდან ასე არ ფიქრობდნენ.

თუმცა, ივანიშვილმა აღიარა, რომ გუნდში არიან ისეთებიც, რომლებიც დღემდე „კეკლუცობენ“ და ზურაბიშვილი არ მოსწონთ.

„ზოგიერთ წევრს შევახსენებ, რომ ნუ კეკლუცობენ და პარტიის პოზიციას პატივი სცენ“, — მიმართა მათ ივანიშვილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, ვის გულისხმობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი სახელისუფლებო მანქანა, თავად ივანიშვილის ჩათვლით, სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად მუშაობს, ივანიშვილი ინტერვიუს დროს მას „დამოუკიდებელ კანდიდატად“ იხსენიებდა.

ყოფილი პრემიერი ამაყობს თავისი გადაწყვეტილებით და ფიქრობს, რომ ხელისუფლების მხრიდან საკუთარ კანდიდატზე უარის თქმა და დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერა მაღალი დემოკრატიული სტანდარტის მაჩვენებელია.

მარიხუანა მხოლოდ მედიცინისა და კოსმეტიკისთვის!

კიდევ ერთი აღიარება, რომელიც გუშინ ივანიშვილისგან მოვისმინეთ, მარიხუანის თემას შეეხებოდა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი აცხადებს, რომ კოსმეტიკური და სამედიცინო დანიშნულებით მარიხუანის წარმოებაზე მსჯელობაში პირადად იყო ჩართული და ეს იდეა მის მიერ მოწონებულია.

ივანიშვილი ამბობს, რომ აჟიოტაჟის მიუხედავად, ამ თემაზე მსჯელობა არ დასრულებულა და მომავალშიც გაგრძელდება.

ყოფილი პრემიერი ამბობს, რომ მარიხუანის სამედიცინო მიზნით კულტივირების მთავარი ხიბლი ამ საქმის შემოსავლიანობაა.

„ეს არის ძალიან დიდი რენტაბელობა... არის ძალიან დიდი ობიექტური გათვლები იმისა, რომ შეიძლება მილიარდი დოლარის ექსპორტი განხორციელდეს ერთ, ორ და სამ წელიწადში“, — განაცხადა ივანიშვილმა. მან ამავე დროს დასძინა, რომ ხელისუფლება არ წავა საზოგადოების წინააღმდეგ, თუ დარწმუნდება, რომ ეს მართლაც ხიფათის შემცველია.

ამ თემაზე საუბრისას ივანიშვილმა მიანიშნა, რომ ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ასევე „რუსთავი-2“-ის დირექტორი ნიკა გვარამია ნარკოტიკებს მოიხმარენ.

ომი დაიწყო სააკაშვილმა!

ბიძინა ივანიშვილის აზრით, წინა ხელისუფლების წინდაუხედავი და „ღალატობრივი ქმედების გარეშე“, რუსეთი ვერ აიხდენდა ოცნებას და 2008 წლის აგვისტოში ვერ დაიპყრობდა საქართველოს ტერიტორიებს.

„სწორედ სააკაშვილი და თქვენი მეუღლეც, შემოუძღვა რუსულ ჯარს საქართველოში“, — ასე მიმართა ივანიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტ ეკა კვესიტაძეს (კვესიტაძის მეუღლე შოთა უტიაშვილი სააკაშვილის ხელისუფლების დროს შს მინისტრის მოადგილე იყო).

ივანიშვილის თქმით, **„უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად, მოვახერხოთ და დავალაგოთ ურთიერთობა ჩვენს დიდ მეზობელთან (რუსეთთან), მაგრამ არა ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე“.**

„ქვეყნის საგარეო კურსზე საუბრისას, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო ახერხებს, იყოს აშშ-ის პარტნიორი და ამავდროულად რუსეთის მხრიდან მდგომარეობის ესკალაციასაც თავს არიდებს, რის გამოც „საქართველოსი ყველას შურს“, — თქვა ივანიშვილმა.

„თუ შევხედავთ საქართველოს საგარეო კურსს, ყველას შურს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობის. ვისაც მე ვიცნობ, მაღალი რანგის პოლიტიკოსებს, ხუმრობით ამბობს ყველა, ნახევრად შურით და ნახევრად შექებით, როგორ ახერხებთ ამასო“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ასეთი ახლო ურთიერთობა აშშ-სთან საქართველოს არასოდეს ჰქონია. ასევე მან იამაყა, რომ საქართველოს დაბალანსებული ურთიერთობები აქვს ყველა მეზობელთან.

მე მმართველი პარტიის თავმჯდომარე ვარ და არა არაფორმალი!

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არანაირი არაფორმალური მმართველობა არ არსებობს და ესეც ჟურნალისტების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოგონილი მითია.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ექვსი წელი ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნის და გათავისუფლების საკითხები და ასევე სხვა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ინიციატივები ბიძინა ივანიშვილის კაბინეტში წყდება, ის საკუთარ თავს ქვეყნის არაფორმალურ მმართველად არ მიიჩნევს. ამას ირიბად და პირდაპირ აღიარებენ მისი გუნდის წევრები და თავად ივანიშვილიც.

„როცა არაფორმალურობაზე საუბრობთ, ცოტა უხერხულია“, — უპასუხა მან ჟურნალისტ დიანა ტრაპაიძის კითხვას.

ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ რატომ მიაჩნია ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს, რომ ქვეყანაში გადაწვეტილებას მხოლოდ ივანიშვილი იღებს.

ივანიშვილი არ უარყოფს, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობს, თუმცა, ფიქრობს, რომ რაკი მმართველი პარტიის თავმჯდომარეა, მას ამის უფლება აქვს.

„მე ვარ პარტიის თავმჯდომარე. ეს არის თანამდებობა და როცა არაფორმალურობაზე საუბრობთ, ცოტა უხერხულია. ამ პარტიას პარლამენტში ჰყავს უმრავლესობა, მთავრობაც, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა.. შესაბამისად, პარტიის როლი არის დიდი და მე ვარ ამ პარტიის თავმჯდომარე და რომელ არაფორმალურ მმართველობაზეა საუბარი?“ — განაცხადა ივანიშვილმა.

JAM-NEWS.NET

მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრები გაგრძელდება

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი განაგრძობს მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც 26 ოქტომბერს, 11:00 საათზე იწვევს საქართველოში მოქმედი საერთო ეროვნული მაუწყებლების წარმომადგენლებს: „მაესტრო“, „ობიექტივი“, „პალიტრა NEWS“, „კავკასია“, „იბერია TV“.

„ამასთან, საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილის მოწოდება მინიმალური მედია სტანდარტის დაცვისა და განსხვავებული აზრის პატივისცემისკენ, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ შეფასდა როგორც მუქარა და სარედაქციო პოლიტიკაში უხეში ჩარევის მცდელობა.

სწორედ ამიტომ, პარტიის თავმჯდომარე „რუსთავი-2“-ს 26 ოქტომბერს დაგეგმილ შეხვედრაზეც იწვევს, რათა ამ ტელევიზიას მიეცეს საშუალება, ნებისიერ თემაზე დასვას კითხვები და შეასრულოს განსხვავებული აზრის საკუთარ მაყურებლამდე მიტანის ვალდებულება.

ინტერვიუს საერთო სიგნალს პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ უზრუნველყოფს და პირდაპირ რეჟიმში ყველა დაინტერესებულ მედიასაშუალებას მიაწვდის. შეხვედრა „ტექნო პარკში“ გაიმართება... ბიძინა ივანიშვილი მედიასთან შეხვედრებს სხვადასხვა ფორმატში მომავალშიც განაგრძობს!

პარტიებისგან გაუსაძლის მდგომარეობაში ჩაგდებული ხალხი, თვითკმაყოფილი „ქართული ოცნება“ და გაბოროტებული „ნაცმოძრაობა“ საკუთარი დანაყოფებით!



მეგობარო, იმის გამო, რომ პრაქტიკულად არ მომეცა ჩემი საპრეზიდენტო პროგრამის ტელევიზიით წარდგენის და ე.წ. კვალიფიციურ კანდიდატებთან დებატების საშუალება (ყველა მათგანმა უარი თქვა), იძულებული ვარ, ამ ფორმით შევძლო თქვენთან კონტაქტი – ასე შემოვიდე თქვენს ოჯახში, თქვენს სამეგობროში.

რატომ?

შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია: „ნაციონალების“ მიერ მიღებული კანონით, რომელიც უცვლელად დატოვა **„ქართულმა ოცნებამ“**, მთელი ძალაუფლება ხალხს კი არა, ამ პარტიებს ეკუთვნით... ეს ნიშნავს კონსტიტუციის უარყოფას – უარყოფილია ქვეყნის ინტერესი, უარყოფილია ადამიანი, მისი უფლებები, უპირველესი პოლიტიკური უფლება: ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, რომ აირჩიოს და არჩეულ იქნას!

დიახ, საქართველოში, ყოვლად დაუმსახურებელი პრივილეგია აქვს პარტიის მიერ წარდგენილ პრეზიდენტობის კანდიდატს და კიდევ უფრო განსაკუთრებული – ყოფილ და დღევანდელ სახელისუფლებო პოლიტიკურ ძალებს, რომლებმაც შეასრულეს დასავლურ მასონურ ძალთა დავალება – **„შუა გაკრიფეს“ და ხელისუფლებას პრაქტიკულად ჩამოაცილეს ქართული, ეროვნული ძალები.** სწორედ ამიტომ ვცხოვრობთ ასე.

ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ამ ფონზე, ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** და მისი პოლიტიკური გუნდი თვითკმაყოფილია – თვლის, რომ ყველაფერი კარგადაა.

ჩვენ რომ სიყალბეში ვცხოვრობთ, ამის დასტურია კარსმომდგარი არჩევნებიც. პარტიების მიერ წარდგენილ კანდიდატს „კვალიფიციური“ ჰქვია, ხალხის მიერ წარდგენილს – „არაკვალიფიციური“. კვალიფიციურს მინიმუმ 400 ათასი ლარი ეძლევა ბიუჯეტის ხარჯზე, ანუ ხალხის ფული.

რა გამოდის? ხელისუფლების მიერ განებივრებული პარტიები ხალხის ფულით ებრძვიან ხალხის კანდიდატს...

ფაქტია, რომ ხალხის მიერ წარდგენილ კანდიდატს დახშული აქვს სატელევიზიო სივრცე. **ბატონი ივანიშვილი** ჩვენ იმ ხალხს გვიწოდებს, რომლებიც „ფეხებში ებლანდებიან“ და რომელთაგანაც არჩევნების შემდგომ უნდა განთავისუფლდეს!

მძიმე რამეს ვამბობ, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას: ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** თავისი სატელევიზიო ინტერვიუთი გვითხრა, რომ სახელმწიფო არ არის საჭირო – სახელმწიფო ეს მე ვარო! წარსულში სხვებიც ეცადნენ ამას, მაგრამ ქართველი ხალხისგან საკადრისი პასუხი მიიღეს, მე კი იმ თავისუფალი შეხვედრებით, რომელიც მთელ საქართველოში მქონდა მოსახლეობასთან, დავრწმუნდი, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, მოაზროვნე ადამიანების თვალში, დასრულებულია – მან თვითონ დასვა ეს წერტილი ბოლო სატელევიზიო ინტერვიუთი.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი რომ ასე იქცევა, ეს არ მიკვირს – წარსულში, როგორც ჩანს, ჩვენი მხარდაჭერით გათამამებული, გასულია რეალობიდან და შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველო მისთვის ბიზნესპროექტია... შემაძრწუნებელია მისი გაუთავებელი საუბარი საქართველოში კანაფის წარმოებაზე – იგი ბოლო ინტერვიუში უტეხად გვარწმუნებდა მისი წარმოების აუცილებლობაზე და ამას იმით ასაბუთებდა, რომ 500-პროცენტიან მოგებას იძლევაო.

მთელ მსოფლიოში მის გარდა ვერავინ მიხვდა, რომ ეს დიდი ბიზნესია. უბრალოდ, სხვაგან ხალხზე, ახალგაზრდობაზე და მომავალზე ფიქრობენ, მისი ფიქრი კი, მხოლოდ მოგებაა! ყოველივე ამის შემდგომ, მე იმ ხალხის მიკვირს, ვისაც მოსწონს **„ქართული ოცნება“** ან დაავიწყდა უახლესი წარსული – **„ნაცმოძრაობა“** მისი დანაყოფებით.

პირდაპირ ვამბობ: დაპირისპირებული პოლიტიკური ძალებიდან (ისინი პრაქტიკულად, ერთი გარე ცენტრიდან იმართებიან) პრეზიდენტის არჩევა – ეს ნიშნავს უარესად ცხოვრებას, მდიდარის კიდევ უფრო გამდიდრებას, ღარიბის გაღატაკებას, ხოლო ქვეყანაში ოლიგარქიული მმართველობის დამკვიდრებას – ფულის ძალაუფლებას!!!

ეს არის სამოქალაქო დაპირისპირების გზა, რადგან არჩევნებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა, მივხვდებით, რომ, როგორც ყველა წინა შემთხვევაში, **ბატონი ბიძინა ივანიშვილის** რეკომენდირებულის არჩევით, ისევ შეცდომა დავუშვით.

სად არის გამოსავალი?

თუ ვფიქრობთ მომავლის საქართველოზე, დღეს ქვეყანას სჭირდება უპარტიო, დიდი გამოცდილების, ქვეყნის პრობლემების რეალურად მცოდნე და კარგი პროგრამით აღჭურვილი პრეზიდენტი, რომელიც ბევრ სხვა მთავარ საკითხთან ერთად, შეძლებს უმთავრესის გადაწყვეტას – ნამდვილად დემოკრატიული საარჩევნო სისტემის შექმნას და 2020 წელს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვამბობ: „ოცნების“, „ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“ კანდიდატებისთვის ხმის მიცემა – ეს არის ხმის მიცემა საქართველოსა და მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

მე არავის მოვუწოდებ, ხმა მომცეს, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი გითხრათ: მაქვს მეცნიერთა დიდ ჯგუფთან ერთად შექმნილი პროგრამა **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“**, მაქვს დიდი გამოცდილება და კარგად ვიცნობ რეგიონულ პოლიტიკას, რომელიც დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის.

არაერთხელ დამიდასტურებია სიცოცხლის ფასად საქართველოსთვის თავგანწირვა. მე მზად ვარ, თავგანწირვით შევებრძოლო უმძიმეს პოლიტიკურ მაფიას, რომელიც პარტიიდან პარტიაში მომთაბარე და მოთამაშე პოლიტიკოსების, ოლიგარქების, მუდმივად ხელისუფლების მომღერალი ე.წ. ინტელიგენციის ნაზავია.

დღეს ერთადერთს, მხოლოდ ხალხს შეუძლია ქვეყნის გადარჩენა ამ დამანგრეველი პოლიტიკური ძალებისგან. ამ შანსის ხელიდან გაშვება დანაშაულია!

საჭიროა პრეზიდენტი, რომელსაც ეს ესმის და გაცნობიერებული აქვს, რომ ხალხს სჭირდება წესრიგი, ხოლო ქვეყანას არა პარტიების, არამედ ქვეყნის ინტერესების დამცველი პრეზიდენტი, რომელმაც იცის, რომ საქართველო უნდა განთავისუფლდეს გარედან მართული პარტიებისა და პოლიტიკოსებისგან – პრეზიდენტი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, რომ **ბიძინა ივანიშვილი** პოლიტიკაში – ეს ქვეყნის მთავარი დაბრკოლებაა, ხოლო, **ბიძინა ივანიშვილი** ბიზნესში – ჰაერივით საჭირო!

თავის დროზე არ შემეშინდა ტანკების წინ დადგომა, რითიც ძუთაისმა (ზოგადად იმერეთმა), სამეგრელოსა და გურიის მხარდაჭერით, ორჯერ ააცილა დიდი სისხლისღვრა დედაქალაქს და სრულიად საქართველოს!

მზად ვარ, წინ გადავუდგე პოლიტიკურ „ტანკებსაც“, რომელიც ყოველგვარი ქართულის განადგურების პროგრამით მოქმედებს!

ჩემგან ღალატი არ იქნება!

იამაყებს ყველა, ვინც ხმას მომცემს!

თეიმურაზ შაშიაშვილი,
საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი

რედაქციისგან:

„საქართველოს რესპუბლიკა“ კატეგორიულად არ ეთანხმება ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილის ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ ჩვენში „ოცნების“ მიერ დამკვიდრებული სიტყვის თავისუფლების უზენაესი უფლებით უცვლელად ბეჭდავს მას!

ამორძალთა საუფლო

ფრანკფურტული დღეების ექო

წლებია, რაც ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში ზარივით რეკდა მრავლისაღმთქმელი მოლოდინი — ფრანკფურტის წიგნის ფესტივალი, რომლის მასპინძელიც ამჯერად საქართველო უნდა ყოფილიყო.

ბევრი რამის განმსაზღვრელი უნდა გამხდარიყო ეს გრანდიოზული თავყრილობა ჩვენი ლიტერატურისთვისაც, ჩვენი კულტურისთვისაც და ჩვენი სახელმწიფოსთვისაც.

და სამზადისიც შესაფერისი უნდა გვქონოდა, რათა მეტად ხელსაყრელი შემთხვევა მთლად თუ არ ჩაგვივარდებოდა, არც მკრთალად ჩატარება გვეპატიებოდა.

უნდა გვეცადა, რაც შეიძლება უკეთესი შთაბეჭდილება დარჩენოდათ ამ არსებითად უცნობ სამყაროზე, საქართველო რასაც წარმოადგენს ჯერჯერობით საერთაშორისო სარბიელზე; უკეთესი შთაბეჭდილება მათაც, ვინც ასე თუ ისე გვიცნობს და იმედით ელოდება ჩვენს ჩართვას მსოფლიო კულტურული პროცესების შუაგულში; და მათაც, ვისაც ახლაღა უნდა აღმოვეჩინეთ.

შთაბეჭდილება იმგვარი, უკვე გულოდგინედ რომ ედევნებინათ თვალი ჩვენი კულტურისა საერთოდ და კერძოდ ლიტერატურის შინაური პროცესებისთვისაც და საერთაშორისო ასპარეზზე მათი ყოველი გამოვლინებისთვისაც.

პასუხისმგებლობაა და — განსაკუთრებული.

მისიაა და — უმნიშვნელოვანესი.

უშუალო თაოსნობა სამზადისისა და იმ გრანდიოზული თავყრილობის გაძღოლა მიენდობოდა **ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს, მედეა (დეა) მეტრეველი** რომ ხელმძღვანელობს, და მის დიდ გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს, ორგანიზატორულ უნარსა და მასშტაბურ ხედვას ბოლომდე უნდა ეჩინა თავი, და იჩენდა კიდეც, **და სულიერი მონაპოვარი, რასაც იქ მივაღწევდით, აისახებოდა გერმანული პრესის ფურცლებზეც, ტელეეკრანებზეც და განსაკუთრებით სხვადასხვა ეროვნების მკითხველებში, არამარტო გერმანელებში, მათი ქებისა და აღფრთოვანების სიტყვები უსვად რომ იღვრებოდა პავილიონებშიც და ყველგანაც, სადაც ცალკეული საღამოები იმართებოდა. ის კი არა, ქუჩაშიც შეიძლება გაეჩერებინე არაერთ ადამიანს და ფესტივალის ირგვლივ გაემართა აღტაცებული საუბარი.**

აქამდე ჩვენი ლიტერატურა საერთაშორისო სარბიელზე ერთგვარ დანამატად წარმოდგებოდა: მუსიკის, სიმღერის, ცეკვის, თეატრის, კინემატოგრაფის, არქიტექტურის... ფრანკფურტში კი მწერლობა აღმოჩნდებოდა ამ ყოველივეს განმსაზღვრელი, დანარჩენი დარგები ხელოვნებისა მართლაც ჩინებულ ფონს რომ შეუქმნიდნენ და გაუადვილებდნენ უცხოელებს ქართული კულტურის თვითმყოფადობისა და მრავალფეროვნების აღქმას, იმ ზოგადი ნიშნების შემჩნევას, თანდათან სულ უფრო რომ უნდა გადაიხსნას და დაფარული შრეებიც გამოაჩინოს, რათა წარმოუდგენელი შეიქნას მსოფლიო ლიტერატურულ-კულტურული ძვრები და მოვლენები ქართული სამყაროს გარეშე.

ყველაფერი ისე გონივრულად იყო აწყობილი, ისე მიზანმიმართულად და ჰარმონიულად, განცდა გიჩნდებოდა, რომ რაღაც გრანდიოზულ სიმფონიას ისმენდი, ერთიერთმანეთზე მოხდენილი წახნაგებითა და პასაჟებით აღსავსეს, და გამომგონებლობისა და იმპროვიზაციის დაუშრეტელი უნარითაც, რადგან უამისოდ რაღაც მოაკლდება ყოველგვარ თავყრილობას, მითუმეტეს ასეთ მასშტაბურს, როგორც გინდა გათვლილ-გაანგარიშებული გქონდეს ყველაფერი.

თუმც ცხადია კარგად გააზრებული კომპოზიციური ჩარჩო და სტრუქტურა რომ არა, გამომგონებლობასა და იმპროვიზაციასაც არ ექნება თავისი საფანელი და მაცოცხლებელი წყარო.

ისე ადვილად, ისე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მოედინებოდა ყოველივე, დიდი შემჩნევა აღარ ესაჭიროებოდა, რაოდენ დაძაბული და გულმოდგინე, თავდადებული და თავგანწირული შრომა იგულისხმებოდა მის მიღმა, **მედეა მეტრეველის** მიერ შეკრებილმა გუნდმა უაღრესად საპასუხისმგებლო მისიას ასეთი წარმატებით რომ მოაბა თავი, გუნდმა, რომელიც არსებითად ქალბატონებისა და გოგონებისაგან შედგება: **მაია დანელია, ნინო ნადიბაიძე, ნათია ლურსმანაშვილი, სალომე მაღლაკელიძე, დოდო გუგავა, ირინე ჭოღოშვილი, ნანა სულაძე, ქეთი ბერიძე, სალომე ჯაფარიძე, სოფო ძიძიგური, ლიკა ქართლელიშვილი, ელენე ციცქიშვილი** და **გვანცა მეგუთნიშვილი;** ერთადერთი გამონაკლისია **ლაშა კოჟორიძე**.

და ამ გუნდმა ასე თვალნათლივ დაადასტურა, რამხელა ენერგია ჰქონიათ და სიყვარული ქართული წიგნისა. და რა საქმეთა აღსრულება შეძლებიათ.

დასაფასებელნი არიან მთარგმნელებიც: **ლაშა კალანდაძე, ირაკლი ჩიგოგიძე, მარიამ აფაქიძე, რუსუდან აფაქიძე, თამარ მუსხელიშვილი, თამარ რეკკ-კოტრიკაძე, ნინო ყველაშვილი, ნინო ოსეფაშვილი, მაია თაბუკაშვილი, ნანა ჭიღლაძე, ზაზა რუსაძე, ნიკა ლომთაძე და კატია ვოლტერსი** — და მოდერატორებიც, მათი დაუღალავი საქმიანობა ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ფესტივალის დღეებში...

და მაინც შეუძლებელია მოდერატორთაგან არ გამოვარჩიოთ **ალექსანდრე კარტოზია,** როგორც იმ დღეების საერთო დონის განმსაზღვრელი, ძალიან მაღლა რომ ასწევდა თამასას თავისი დიდი ერუდიციისა და ლიტერატურული გემოვნების წყალობით და კიდეც გაიყოლებდა დანარჩენებსაც. მაინცდამაინც ასი წელი უნდა გავიდეს, რომ ახალმა თაობამ თქვას: ეს რა კაცი გვყავდა ქართულ ემიგრაციაში ალექსანდრე კარტოზიას სახითო?!. **ვთქვათ ახლაც და გვეამაყებოდეს, ასეთი კაცი რომ გვყავს იმედად, როდესაც ქართული ლიტერატურა და კულტურა დასამკვიდრებელია საერთაშორისო სივრცეში!..**



თითო გიჟი ყველა სოფელს უნდა ჰყავდესო, ქართული ანდაზა რომ შეგვაგონებს, ნიშნავს, რომ არცერთი სასიკეთო საქმე მთლად ისე ვერ განხორციელდება, როგორც განზრახული გვქონდა. გიჟებისაგან ღმერთმა დაიფარა ფრანკფურტის ქართული დღეები, მაგრამ ვერც ლიტერატურულ საქმოსნებს გადავურჩით და ვერც მათ უაპელაციო — ჩიტირეკიულის თქმას რომ მოვერიდო — განცხადებებს:

რომ თითქოსდა ერთი-ორი საშუალოზე ნაკლები კალმოსნის რომანებად სახელდებული წიგნების გამოცემით დაიწყო რაღაც ახალი ეტაპი ქართულ ლიტერატურაში...

რომ თითქოსდა 2003 წლამდე ქართველი მწერლები ბორკილგაყრილები წერდნენ და მხოლოდ ამ ბედნიერი წლის დადგომის წყალობით აეყარათ ბორკილები...

რომ თითქოსდა არ გაგვაჩნია სალიტერატურო კრიტიკა...

და რომ თითქოსდა...

ისე როდესაც ამგვარი რამეების თქმას კადრულობენ, ყველაზე ნაკლები ცოდვა მიუძღვის **მედეა მეტრეველსა და მის გუნდს**. ასეთ დროს მთავარი ბრალი ედება ქართულ კრიტიკას, რომელიც უდავოდ არსებობს და საკმაო მონაპოვრითაც გამოიდებს თავს, მაგრამ ბევრი რამ ჯერაც მოსაგვარებელი და მოსაწესრიგებელია ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში; და უპირველესად თუ ვინმე, მათ შორის უთუოდ თქვენი მონა-მორჩილიც აგებს პასუხს მნიშვნელოვან ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე, რომელიც ისე საფუძვლიანად უნდა გამოვასწოროთ, სხვა გრანდიოზული თავყრილობანი ქართული მწერლობის ირგვლივ — ფრანკფურტის დღეების თავისებური გაგრძელებანი — დაზღვეული იყოს ლიტერატურულ საქმოსანთა ჩარევებისაგან.

მედეა მეტრეველის გუნდი არსებითად ქალბატონებისა და გოგონებისაგან შედგებაო...

ამორძალთა საუფლოა თუ რა...

თუმც იყოს ამორძალთა საუფლო, თუკი ამგვარ დიდებულ საქმეებს აღასრულებენ, ქართული წიგნის ფრანკფურტული დღეები როგორც შემორჩება ჩვენს საზოგადოებრივ მეხსიერებასა და ლიტერატურის ისტორიას.

არაერთხელ მითქვამს, რომ:

ქალებს უნდა ვაბარებდეთ ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე საპასუხისმგებლობა თანამდებობებს.

თუნდ როდესაც შევყურებდი და შევყურებ **ნაირა გელაშვილის** მოღვაწეობას **„კავკასიურ სახლში“.**

თუნდ როდესაც შევყურებდი და შევყურებ **ირმა რატიანის** მოღვაწეობას **ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.**

და მედეა მეტრეველის მოღვაწეობაც ამასვე გვაფიქრებინებს და გვათქმევინებს.

ბოლოსდაბოლოს ქალები ჩვენზე ენერგიულადაც ეკიდებიან უმნიშვნელოვანეს წამოწყებებს, ჩვენზე მიზანმიმართულად და გააზრებულადაც, და ჩვენზე უკეთესადაც აგვირგვინებენ; ხოლო უფრო ლამაზად და არტისტულად რომ ახორციელებენ, ამას უკვე თქმაც აღარ ესაჭიროება.

ქართული წიგნის ფრანკფურტულმა დღეებმა რაღაც სარკმელი გაგვიჭრა და ჩვენზეა მონდობილი, ამასაც ამოვქოლავთ თუ ამ გამოცდილებას შესაფერისად გამოვიყენებთ და ახალ-ახალ სარკმელებსა და კარ-ფანჯრებს შევმატებთ ჩვენი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის სასიკეთოდ.

როსტომ ჩხეიძე

ასე ამბობდა გაიუს იულიუს კეისარი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

ვინ იყო იულიუს კეისარი?

ვაგრძელებთ „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“ რუბრიკას. ბოლოს ჩვენი მკითხველი გაეცნო XX საუკუნის გენიალური მხატვრის სალვადორ დალის ცხოვრებასა და ნააზრევს. ამჯერად ჩვენი „სტუმარია“ რომის იმპერიისა და ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი გაიუს იულიუს კეისარი (დაიბადა 100 ან 102 წლის 12 ივლისს; დაიღუპა 44 წლის 15 მარტს). აქ აჯობებს კეისარი ცნობილ გერმანელ ისტორიკოსს გეორგ ვებერს დავახასიათებინოთ:

„ეს იყო ჭეშმარიტად გენიალური ადამიანი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ის ბუნებისგან ბევრად უფრო მეტი ნიჭიერებით იყო დაჯილდოებული, ვიდრე რომელიმე სხვა ისტორიული პიროვნება. ძნელია, შეუძლებელიც კია ამ საოცარი ადამიანის პიროვნების მოკლედ აღწერა, მაგრამ თუ კეისრის გონებისა და ხასიათის თუნდაც ზოგიერთ, იქნებ არც არამთავარ თვისებას გავეცნობით, მაინც ნათელი გახდება, თუ რაოდენ არაჩვეულებრივი ნიჭიერებისა იყო იგი.

იულიუს კეისარი დაბადებული იყო სახელმწიფო მოღვაწედ. მან თავისი კარიერა დაიწყო იმ პარტიაში, რომელიც არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა და ამიტომ, ხანგრძლივ და თანდათან მიდიოდა თავისი მიზნისკენ, მერმე იგი სათვალმჩენოდ თამაშობდა რომში, მერმე მარჯად გამოჩნდა სამხედრო სარბიელზე და უდიდეს მხედართმთავართა რიცხვს მიეთვალა — არა მარტო იმიტომ, რომ ყოველთვის ბრწყინვალედ იმარჯვებდა, არამედ იმიტომაც, რომ ის ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ძალთა უპირატესობით კი არა, უჩვეულოდ დაძაბული მოქმედებით წარემატებოდა, როცა კი ეს გარდაუვალი ხდებოდა და არც მთელი თავისი ძალების მარჯვედ თავმოყრას უგულებელყოფდა, არც კიდევ გაუგონარი სისწრაფით მოძრაობას.

მერმე ღვთივმიმადლებული მჭევრმეტყველური და მწერლური ნიჭის წყალობით კეისარი დიდსახელიანად გასაზოგადომოღვაწევდა. თავის სუყოველ გამოვლინებაში ამ საოცრად უნარიანი ადამიანის ცხოვრება წყაროსთვალსაებრ ჩქეფდა. მან სუყოველ სარბიელზე ისეთ საქმეებს დაადგა თავი, რომელთა გამოც მუდამ პირველ კაცად იხსენიებდნენ. თანაც კიდევ არც ერთ ამ სარბიელზე მთელ თავის ძალებს ბოლომდე არ ხარჯავდა, რამეთუ კეისარში, უწინარეს ყოვლისა, სუყოველსა და სუყველაფერს სახელმწიფოებრივი მიდგომა-მიკერძოება სჭარბობდა: ამ საოცარ კაცს მუდამ თვალწინ ედგა თავისი დიადი მიზანი — აეღორძინებინა თავისი სამშობლო, აემაღლებინა იგი პოლიტიკური სამხედრო, გონებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით ღრმად ჩაფლულს ლათინურ და კიდევ ბევრად უფრო ღრმად ჩაფლულს ელინურ ერში.

მარტოოდენ კეისრის ნიჭიერების მქონე მოღვაწეს თუ შეეძლო ერთგვარ დანიშნულებასთან შეჭიდება და უკეთუ სრულად ვერ გაართვა თავი, საეჭვოა, შეიძლებოდა კი მეტის ქმნა. ყოველ შემთხვევაში, კეისარმა იმდენი რამ მოიყვანა დამში, რამდენიც არ მოუხელკეთილებია არც ერთ ადამიანს ისტორიაში არც მანამდე და არც იმის შემდეგ.

განსაცვიფრებელია ის სულიერი სიძლიერე, რასაც იულიუს კეისარი იჩენდა. იგი არამარტო ზემტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა, არამედ უმაღლესი ხარისხის გამჭრიახი გონებითაც. შეუძლებელია, რომ იმაზე უკეთესად სხვა ვინმემ შეაფასოს ადამიანები, თითოეულს მოუძიოს კუთვნილი ადგილი, სადაც ის რაც შეიძლება მეტ სარგებელს მოიტანდა. კეისრის დაკვირვებულობა პირდაპირ გაოცებას იწვევდა, სწორედ ამ დაკვირვების უნარის წყალობით იგი სწრაფად ერკვეოდა ყოვლის უფრო ძნელ ვითარებაში, ხოლო თვით ბრძანებები თუ განკარგულებები იქაც კი, სადაც ის დაუსწრებლად გასცემდა, ყოველთვის კანთიელი იყო და არც შესასრულებლად უჭირდათ ხელქვეითებს. მეხსიერება კეისარს უჩვეულოდ ზუსტი და ძლიერი ჰქონდა: იმისი თავი ათასგვარი ამბების ზღვას იტევდა და სულ ადვილად შეეძლო ერთდროულად რამდენიმე საქმის გაძღოლა. იულიუს კეისრის ხასიათის ყოვლის უფრო საკვირველი თვისება იყო, ასე ვთქვათ, გენიალური გონებრივი სიფხიზლე: თავისი გონებრივი თვალსაწიერით იგი არსებული ცხოვრების სუყოველ მხარეს მოიცავდა, არცრა გამოეპარებოდა, ყოველსავე სწორად აფასებდა, რაც შეიძლება ადვილ და პირდაპირ მიზნისკენ მიმავალ გზებს პოულობდა, არცროდის მიუღწეველ რამეზე არ წაუგორდებოდა თვალი, რაც არ უნდა მიმზიდველი ყოფილიყო. სუყოველ საქმეს, რომელთაც ის არნახული შთაგონებით ახელკეთილებდა, სუყოველი ცვლილება, რომელთაც კი ხორცს ასხამდა, საოცარი ჰარმონიით წარმართავდა ერთი საერთო მიზნისკენ და არცროდის იძულებული არ გამხდარა, რომ ერთხელ ქმნილს მეორედ მიბრუნებოდა და გადაეკეთებინა.

და ყოველივე ამის მიუხედავად, იულიუს კეისარს წარმატებათაგან თავბრუ არ დახვევია, მუდამ იმას ფიქრობდა, რომ ადამიანისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომი არ არის, რომ ბევრი რამ შემთხვევაზე, ბედ-იღბალზე ჰკიდია და ამიტომ, ერთი მხრივ, ხშირად უჩვეულო გაბედულებით მოქმედებდა ბედ-იღბლის იმედით, ხოლო, მეორე მხრივ, არცროდის იმედგაცრუების გრძნობა არ განუცდია. მონარქი რომ გახდა, ის მხოლოდ მუდამ ისე იქცეოდა, როგორც ამას მბრძანებლის მოვალეობა ითხოვდა, არცროდის ყოყმანობდა და ჭოჭმანობდა, და არცროდის არცვისგან უსიტყვო მორჩილების მომთხოვნი არ იყო.

ყოველივეს, რაც კეისარმა დამში მოიყვანა, სულ ხუთნახევარი წელიწადი მოანდომა, აქედან ორი წელიწადი ომს უნდა მივათვალოთ, რასაც ამ დროის სიგრძეზე კეისარმა ქვეყნის საკეთილდღეოდ მოახელკეთილა, ისე ჩანს, თითქოს წინდაწინ გეგმა რამ ჰქონდა შემუშავებული და იმის მიხედვით ქმნიდა, რამდენად სწორია ეს გეგმა, დაე, იმან განსაჯოს, ვინც თავს ამ გენიალურ პიროვნებას უტოლებს. უკვე თითქმის ორი ათას წელიწადზე მეტია, ადამიანებს აოცებთ გაიუს იულიუს კეისრის საქმენი საგმირონი და, ალბათ, კაცობრიობა არც გადაუხვევს იმისგან გაკვალულ გზას, სანამ დედამიწა იმ სახეს შეინარჩუნებს, როგორი სახითაც დღემდე ჩვენ ყველანი ვიცნობთ...

იულიუს კეისრის გენია ადამიანური ცოდნის სუყოველ დარგს მოიცავს. ის ბრწყინვალე მჭევრმეტყველი იყო და მრავალ საკითხზე წერდა შრომებს, მაშინაც კი, როცა ლაშქრად იყო. ალპებს რომ გადადიოდა, სწორედ მაშინ დაწერა გამოკვლევა ლათინური ენის შესახებ „ანალოგიათა თაობაზე“ (De analogia). როგორც მწერალი გაიუს იულიუსი ცნობილია უწინარესად „გალურ ომზე“ და „სამოქალაქო ომზე“ ჩანაწერებით, ორივე ამ თხზულების თუნდაც ნაწილობრივი გაცნობა საშუალებას მოგვცემს, რომ რამდენადმე მივუახლოვდეთ ამ იშვიათი პიროვნების შეცნობას.

როგორც წინა პუბლიკაციებისას, ახლაც გამოყენებულია „ფენიქსის“ (დონის-როსტოვი) ლიტერატურულ-მხატვრული გამოცდა.

გაიუს იულიუსის ცნობილი გამონათქვამები:

ან პონტიფიკი დავბრუნდები, ანდა სულ აღარ დავბრუნდები.

* * *

სუყოველი თავისი ბედ-იღბლის მჭედელია.

* * *

ესეგვარია ზადი, ნიშანდობლივი ჩვენი ბუნებისთვის: უხილავი საგნები, მიფანიერებული და შეუცნობელი, ჩვენში დიდ რწმენასაც წარმოშობენ და ძლიერ შიშსაც.

* * *

ცდა ყოველივეს მასწავლებელია Esrerum omnium magister usus).

* * *

უდიდესი მტერი იქ იმალება, სადაც ყველაზე უფრო ნაკლებად ეძებთ.

* * *

არჩევანი მოხდა, რუბიკონი გადალახულია (49 წელს ჩვენ ერამდე იულიუს კეისარმა ერთპიროვნული ძალაუფლების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა და ჯართან ერთად მდინარე რუბიკონი გადალახა, ამ ამბით კანონი დაარღვია და ომი დაუწყო რომის სენატს).

* * *

რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხარ, მით უფრო ნაკლების უფლება უნდა მისცე შენს თავს.

* * *

კეისრის ცოლი ყოველგვარ ეჭვზე მაღლა უნდა იდგეს (62 წელს ჩვენს ერამდე პუბლიუს კლოდიუსი, კეისრის ცოლის მაცდუნებელი, სამართალში მისცეს. მოწმედ მიხმობილმა კეისარმა განაცხადა, ამის თაობაზე არცარა ვიცი რაო, ხოლო შეკითხვაზე, მაშ, აბა, ცოლს რატომ გაეყარეო, მიუგო: „იმიტომ, რომ ჩემი სახლეულნი არა მარტო დანაშაულის მხრივ უნდა იყვნენ უმწიკვლონი, არამედ ყოველგვარი ეჭვის მხრივაცო“).

* * *

ვინც სხვის უზრდელობას ამხილებს, თავად თავაზიანობის ნიმუში ვერ იქნება.

* * *

ღალატი მიყვარს, ოღონდ არა მოღალატენი.

* * *

დაყავი და იბატონე (Divide et impera). (დოკუმენტური მტკიცებულება, რომ ამ გამონათქვამის ავტორი კეისარია, არ არის. თუმცა ფეხმოკიდებულია აზრი, რომ სწორედ იმას ეკუთვნის ეს სიტყვები).

* * *

ადამიანები ადვილად იჯერებენ იმას, რის მოსურნენიც არიან (Libenter hominesid quodvolunt, credunt).

* * *

დღეს, დედაო, შენს შვილს ან უზენაეს ქურუმად მოიხილავ ანდა დევნილად.

* * *

დიადი საქმენი უყოყმანოდ უნდა აღასრულო, რათა საფრთხის გამო გაჩენილმა აზრმა შემართება და სისწრაფე არ მოგიდუნოს.

* * *

მჭევრმეტყველი ზედმეტ სიტყვებს ისევე უნდა მოერიდოს, ვითარცა მხერვალი, ნავის მავლინებელი, ანუ მესაჭე ერიდება მეჩეჩსა და კბოდოვანს.

* * *

ბევრად მირჩევნია აქ, ამ ღარიბ დაბაში, პირველკაცობა, ვიდრე რომში მეორე კაცად ყოფნა.

* * *

სტუმრის წყენინება არამც არ შეიძლება.

* * *

იარაღი და კანონები ერთმანეთს ვერ ჰგუობენ.

* * *

ბევრად უკეთესია უეცარი სიკვდილი, ვიდრე სიკვდილის მოლოდინით სიცოცხლე.

* * *

შენც, ბრუტუს? — Ettu, Brute? (ერთ-ერთი ცნობილი ფრაზა, რომელსაც იულიუს კეისარს მიაწერენ. თუმცა, არ მოიპოვება დოკუმენტური მტკიცებულება, რომ კეისარმა სიკვდილის წინ სწორედ ეს სიტყვები წარმოთქვა. როგორც ჩანს, კეისარს არ უთქვამს „Ettu, Brute?“ იმის დროინდელ წყაროთა მიხედვით, იგი ან ხმის ამოუღებლად მოკვდა, ანდა ბერძნულად წარმოთქვა: „შენც კი, შვილო ჩემო, ბრუტუს?“ ანდა ლათინურად: „შენც, ბრუტუს, შვილო ჩემო!“ ჩვენს დროში ამ ფრაზის ყოვლის უფრო გავრცელებული ვარიანტი უილიამ შექსპირის პიესიდან („იულიუს კეისარი“) გაჩნდა.

(გაგრძელება იქნება).

უგნურია დანუნებული

„ქართველები ვართ მოდგმით მხნენი, მეომრებად აღზრდილნი და მარად გაჭირვებულ ცხოვრებას ჩვეულნი“.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი
გრიგოლ ბაკურიანის-ძე, XI საუკუნე

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტექნიკური პროგრესი მაღალი ტემპერატურების, წნევების, სიჩქარეების და ქიმიურად აგრესიული არეების გამოყენებას ეფუძნება. ასეთ ექსტრემალურ პირობებში მუშაობას შეიძლება გაუძლოს მცირე სახეობის მასალებმა, რომელთა შორის პირველ ადგილზეა კერამიკა. დღევანდელი გაგებით კერამიკა ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ძველი, ანუ ტრადიციული და ახალი, ანუ ტექნიკური.

პირველ ჯგუფში შედის ყველასათვის კარგად ცნობილი თიხის სამშენებლო აგური და კრამიტი, ფაიფურის სხვადასხვა დანიშნულების ნაკეთობები, შენობათა ფასადის, იატაკის და შიდა მოსაპირკეთებელი ფილები, კერამოგრანიტი, ცეცხლგამძლე მასალები, რომლითაც აგებულია თანამედროვე მეტალურგიული და სხვა დანიშნულების სითბური დანადგარები, ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების იზოლატორები, საოჯახო სანიტარიული კვანძების ნაკეთობები, მაიოლიკა, ტერაკოტა და მრავალი სხვა.

ტექნიკური კერამიკაა: ბირთვული რეაქტორის სათბობი ღეროები, რადიოკონდენსატორები, ელექტრონიკაში, რადიოტექნიკაში და კვანტურ ოპტიკაში გამოყენებული დეტალები, საჭრელი ინსტრუმენტები, ზესალი და ზეელექტროგამტარი მასალები, სეგნეტო, პიეზოელექტრული, ფერომაგნიტური და კომპოზიციური მასალები, საავიაციო, სარაკეტო და კოსმოსურ აპარატურაში გამოყენებული დეტალები, ორთოპედიული და სტომატოლოგიური მასალები, გამჭვირვალე კერამიკა, კერმეტები, ნანოტექნოლოგია და მრავალი სხვა. სწორედ ამიტომ უწოდეს ამერიკელმა მეცნიერებმა კერამიკას **„სამზარეულოდან კოსმოსამდე“**.

XXI საუკუნეში ხუთი ძირითადი პრიორიტეტული მეცნიერული კვლევების მიმართულებებში, როგორიცაა დიდი ინტეგრალური სქემები, ბიოტექნოლოგია, ბოჭკოვანი ოპტიკა და რობოტოტექნიკა – დასახელებულია კერამიკა (აქვე აღვნიშნავთ, რომ ოპტიკური ბოჭკო ძირითადად მზადდება უჟანგბადო და სხვა სახის კერამიკის გამოყენებით). ამიტომ „Чарльз Ривера Асс. Ник“ სპეციალისტების დასკვნით, რომლებმაც განსაზღვრეს ტექნიკური კერამიკის როლი თანამედროვე მსოფლიოში (კვლევა მიმდინარეობდა აშშ სტანდარტების ეროვნულ ბიუროსთან ერთად) დაადგინეს – ის, ვინც დაიპყრობს ტექნიკური კერამიკის ბაზარს, საერთოდ დაიპყრობს მსოფლიო ბაზარს!

კერამიკის კიდევ ერთი დიდი დამსახურება კაცობრიობის წინაშე გამოხატული ასევე დიდი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვიტალი გინზბურგის მიერ, როცა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ამერიკელი ფიზიკოსების, ნობელის პრემიის ლაურეატების დ. ბედნორცის და კ. მიულერის მიერ 1986 წ. ოქსიდური კერამიკისგან მაღალტემპერატურული ზეელექტროგამტარი მასალის მიღება: „საინტერესოა, რომ ეს არ არის ერთი შემთხვევა, როცა კერამიკა გახდა პროგრესის „სასხლეტი კაუჭი“, 2700 წლის წინათ კაცობრიობამ თავისი არსებობის ისტორიაში მოახდინა ყველაზე დიდი ტექნიკური გადატრიალება – შექმნა ხელოვნური მასალები და ეს იყო სწორედ კერამიკა, მიღებული თიხის შეცხობით“. ასეთია კერამიკა „მაგიურ-სასწაულმოქმედი“ მასალა, ვინ წარმოიდგენდა, რომ საერთოდ კერამიკა ელექტროიზოლატორი, დიელექტრიკი შეიძლება ყოფილიყო ზეელექტროგამტარი, რომლის ელექტროწინაღობა ნულის ტოლია (ეს მოვლენა აღიარებულია XX საუკუნეში დიდ მეცნიერულ აღმოჩენად).

დიახ, ეს არ არის ერთი შემთხვევა, როცა კერამიკა გახდა მეცნიერებაში ახალი, პროგრესული მიმართულების შესწავლის დამაჩქარებელი და ხელშემწყობი.

ნანოქიმია და ნანოტექნოლოგიები სწავლობს განსაზღვრული რაოდენობის ატომების (რამდენიმე ათეულიდან, რამდენიმე ათასამდე) მანიპულაციით აწყობს და ქმნის სასურველი სტრუქტურის მასალებს, ხელსაწყოებს და სისტემებს, **თავსართი „ნანო“ მეცნიერებაში აღნიშნავს რაიმე სიდიდის მემილიარდედ ნაწილს და ბერძნულად „ჯუჯას“ ნიშნავს**.

ნანოტექნოლოგიის იმპულსური განვითარება დაიწყო მას შემდეგ, რაც 1981 წელს ჰერდ ბინინგმა და ჰაინრიხ როდერმა IBM ლაბორატორიაში (ციურიხი) შექმნეს სკანირებული გვირაბისებური მიკროსკოპი (1986 წელს ავტორებს მიენიჭათ ნობელის პრემია), რომელსაც მალევე მოჰყვა ატომური ძალოვანი მიკროსკოპი, უნიკალური ხელსაწყოების შექმნით ფიზიკოსებს საშუალება მიეცათ გამოეკვლიათ ნივთიერება ატომურ დონეზე, შეერიათ ცალკეული ატომები, მოეხდინათ მათი მანიპულირება და შეესწავლად ობიექტები ხაზობრივი ზომით 1-დან 100 ნანომეტრამდე (1 ნანომეტრი (ნმ) შეადგენს მეტრის მემილიარდედ ნაწილს $-1\cdot10^{-9}$ მ).

ფუნდამენტური შესწავლა ნანონაკეთობებისა საერთაშორისო მასშტაბით დაიწყო მას შემდეგ, როცა დადგინდა, რომ მასალები ნანონაწილაკების ზომით 1-დან 100 ნმ-მდე ($10^{-9}/10^{-7}$ მ) იჩენენ უნიკალურ ფიზიკურ თვისებებს, ვიდრე იგივე მასალები მაკროსკოპული დისპერსიის პირობებში.

რევოლუციური იდეა იმაზე, რომ შესაძლებელია ავაგოთ ნანოზომის მოწყობილობა, პირველად გაცხადდა 1959 წლის 19 დეკემბერს, ამერიკელი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის რიჩარდ ფელიქს ფეინმანის მიერ კალიფორნიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, ამერიკელი ფიზიკოსების საზოგადოების წინაშე. ლექციის თემა იყო „იქ, დაბლა, სრული ადგილია“. სიტყვა „დაბლა“ ნიშნავდა, ძალიან მცირე ნაწილაკების სამყაროში“, მომხსენებელმა განაცვიფრა აუდიტორია თამამი მეცნიერული იდეით – ატომების მართვის მანიპულირებით შესაძლებელია მცირე ზომის მოწყობილობების შექმნა, რომელიც დღეს ნანოტექნოლოგიების სახელწოდებითაა ცნობილი.

ფეინმანმა აღნიშნა, რომ ოდესმე, მაგალითად 2000 წელს, მეცნიერები განცვიფრდებიან იმის გამო, რომ 1960 წლამდე არავინ სერიოზულად არ ფიქრობდა, ჩაეტარებინათ გამოკვლევები ნანოსამყაროს მიმართულებით. ფიზიკოსმა განაცხადა, რომ ბრიტანული ენციკლოპედიის მთელი შინაარსი შეიძლება მოვათავსოთ ქინძისთავის წვერზე. ასევე, თუ თითოეულ ბგერას წარმოვადგენთ 6-7 ბაიტით (ინფორმაციის საზომი უმცირესი ერთეული), ხოლო თითოეული ბაიტისთვის დავხარჯავთ 100 ატომს, მაშინ მთელი ინფორმაცია ყველა წიგნისა მსოფლიო მასშტაბით შეიძლება მოთავსდეს კუბში, რომლის წიბო 0,1 მილიმეტრს არ აღემატება.

სწორედ 1960 წელს, ფეინმანის ბრწყინვალე ლექციების შემდეგ, აშშ-ში ჩამოყალიბდა მეცნიერთა ჯგუფი, დაკომპლექტებული თიხური მინერალების მცოდნე სპეციალისტებით. აი, პირველი მცდელობა, როცა კერამიკა **(„კერამიკა“ ბერძნულად თიხას ნიშნავს)** კიდევ ერთხელ გახდა **პროგრესის „სასხლეტი კაუჭი“**, მსოფლიო მასშტაბით ახალ, უდიდეს მეცნიერულ მიმდინარეობაში. რატომ შეირჩა თიხა მეცნიერების მიერ კვლევის პირველ მინერალად ნანოტექნოლოგიაში?

საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება, ვაჩვენოთ კიდევ ერთი უაღრესად უნიკალური თვისება ბენტონიტური თიხებისა, რომელიც კოსმონავტიკას ეხება.

ადამიანის სხეულზე უწონადობის პათოლოგია შესწავლილი იყო NASA-ს მიერ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ უწონადობა კოსმონავტებში ინვევს ძვლების მყისიერ გამოფიტვას. ინტენსიურად მიმდინარეობდა კვლევითი სამუშაოები პრობლემის დასაძლევად. სხვადასხვა ფარმაცევტულ კომპანიებს დაუკვეთეს კალციუმის დამატებითი დოზის გაზრდა წამლებში, მაგრამ მრავალი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა, რადგან არ ხდებოდა ორგანიზმის მიერ კალციუმის შეთვისება. ხანგრძლივი კვლევის შედეგად კალიფორნიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოქტორმა ბენჯამინ ეშკოფმა გამოიყენა ადგილობრივი თიხა Terramin, რომლის შედგენილობაში არსებული კალციუმი ადვილად შეიწოვება ორგანიზმის მიერ. შედეგად პრობლემა მოიხსნა.

პატივისცემით აღვნიშნავ ცნობილი ქართველი მეცნიერის გური ცაგარეიშვილის დიდ დამსახურებას ფარმაციის დარგში, მის შრომებში აღნიშნულია ბენტონიტების ფართოდ გამოყენება მედიცინაში, ფარმაციაში და კოსმეტიკაში. ბატონი გურამი არ მიწყენს, თუ აღნიშნულ ჩამონათვალს დაემატება ტევადი სიტყვა – „კოსმონავტიკაში“.

ჩვენ მიერ ვანისქედის ბენტონიტური თიხიდან მიღებულია 95% წყლის შემცველობის დისპერსული მასა **(„ვანკოლი“ – ვანის ქედის კოლოიდი)**, რომელმაც გაიარა სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზა და რეკომენდაცია ფარმაციაში შიგა და გარე გამოყენებისთვის, როგორც ბიოლოგიური დანამატი, ასევე რბილი სამკურნალოწამლო ფორმების ტექნოლოგიაში.

შესაძლებელია მალამოდან ორგანიზმში შეღწევადობის მკვეთრი გაზრდა, მაგალითად, სააფთიაქო ქსელში იყიდება საზღვარგარეთული გელი გარეგანი გამოყენებისათვის დიკლონ 5 (ტკივილ-გამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო), რომელიც აბსორბირდება არანაკლებ 6%. აბსორბირების რიცხვი შეიძლება გავზარდოთ 85-90%.

ჩვენ არა ვართ არა თუ მომხრე, არამედ წინააღმდეგი უხეში პრაქტიციზმის. მეცნიერულ კვლევაში პირველ რიგში საინტერესოა თვით მოვლენის ახსნა, მეცნიერი არაა ვალდებული, მუდმივად ფიქრობდეს იმაზე, ხვალ ვის მოუტანს სიკეთეს, მაგრამ ამავე დროს, თუ მყისიერად ჩანს დანერგვის პერსპექტივა, მით უკეთესი. რომელი ნორმალური ადამიანი არ მისცემს მას მნიშვნელობას? ასეთ გამოკვლევებს აქვს როგორც მეცნიერული, ასევე სოციალური ასპექტები, ამიტომ მათ შეიძლება ვუწოდოთ **ინდუსტრიული მეცნიერება**.

პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არსად არ თქმულა, რომ ნანოტექნოლოგიის პირდაპირი და „სისხლით ნათესავი“ არის კერამიკული წერნაქი, რომელსაც წარსულშიც და დღესაც ვიყენებთ მხატვრულ კერამიკაში, კერძოდ მაიოლიკის ნაწარმის დასაფარად. წერნაქის მიღების ტექნოლოგია იგივეა, რაც ნანონაწილაკების მომზადების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი „ზემოდან ქვემოთ“, ანუ დისპერგირების მეთოდი.

2-3 წლის წინათ დავამუშავეთ ბიონანოკოლოიდური წერნაქის სინთეზის ახალი მეთოდი (არ ვიძლევით დეტალურ ანალიზს) ქვევრის შიგა ზედაპირის დასაფარავად. სიახლე გადაწყვეტს ორ მნიშვნელოვან პრობლემას: **ღვინოში არსებული 85% წყლის სამკურნალო მე-4 სტრუქტურის წყლად გარდაქმნა და გავათავისუფლებთ ქვევრს შიგა ზედაპირის გასანთლისგან**. მიკროზომის ნაწილაკებად დაწვრილმანება უზრუნველყოფს წერნაქსა და ქვევრის შიგა ზედაპირს შორის მტკიცე შეჭიდულობის უნარს, მათ შორის ჰიდროფილურობას და რაც მთავარია ადგეზია (გარე შეჭიდულობა) მეტია კოგეზიაზე (შიგა შეჭიდულობა).

ნანოტექნოლოგია, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ მაღალ ტექნოლოგიებს, თუმცა ამასთან ბადებს კითხვებს მის შესაძლო უარყოფით გავლენაზე საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, ეკოლოგიურ და სხვა დარგებზე.

მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ იმ საშიშ დაავადებებს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ნანონაწილაკებმა ცოცხალი ორგანიზმების მიმართ.

რა არის ნანოპათოლოგია? ეს დაავადებები გამოწვეულია მიკრო და ნანონაწილაკებით, რომლებიც ინჰალაციით, ჩაყლაპვით, ჩასუნთქვით ან სხვა გზით შეაღწევენ ორგანოში ან ქსოვილში. უნდა გვახსოვდეს სამი ძირითადი მომენტი: ყოველგვარი მაღალტემპერატურიანი წყარო წარმოქმნის ნაწილაკებს, რაც უფრო მცირეა ნაწილაკი, მით უფრო ადვილად მოხვდებიან ისინი ქსოვილში და უჯრედში; არ არსებობს ცნობილი ბიოლოგიური ან ტექნოლოგიური მექანიზმები იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ნაწილაკები, რომლებიც მიტაცებულია ორგანოს ან ქსოვილის მიერ. ნაწილაკური მატერია (Tr) უნიკალური თვისებებით ბუნებრივად წარმოქმნება ვულკანების ამოფრქვევით, მთის ქანების ეროზიით, ტყის ხანძრებით, ადამიანების უშუალო ზემოქმედებით: შიგა წვის ძრავებში, შენობების გათბობით და ისეთი წარმოებებით, როგორიცაა ცემენტის და საჩამოსხმო ქარხნები, აფეთქებებით სამხედრო მოქმედებისას.

ჩვენი პლანეტის ნებისმიერი ადგილი გარემოცულია მილიარდობით ნანონაწილაკებით (ნნ). ისინი არსებობენ ყველგან კოსმოსში, ატმოსფეროში, მთის ქანებში და ვულკანური პროცესების შედეგად წარმოქმნილ მაგმებში. აგრეთვე სამრეწველო ობიექტებში ე.წ. ტექნოგენური ნნ სახით.

კოსმონავტების მიერ კოსმოსში შეგროვილი მტვრის ანალიზით დადგინდა, რომ მათი ზომა 10-დან 150-მდე ნანომეტრია, ხოლო შედგენილობით მიეკუთვნება ნახშირის ქონდრიტების ჯგუფს. ქონდრიტები (ძვ. ბერძნული – მარცვალი) ფართოდ გავრცელებული ჯგუფია მეტეორიტების კლასიფიკაციაში. რადიოიზოტოპური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი დაბადების ასაკი აღემატება 4,5 მილიარდ წელს. ნახშირის ქონდრიტები შეიცავს დიდი რაოდენობით რკინას, ჰიდროსილიკატებს და რაც კერამიკოსებისათვის საინტერესოა – თიხურ მინერალ მონტმორილონიტს.

3-4 მილიარდი წელი გვაშორებს კოსმოსური ისტორიის იმ მომენტიდან, როდესაც სამყაროს ვარსკვლავურ გროვაში ჩაისახა ჩვენი მზის სისტემა, მზიდან კი ცალკეული პლანეტები და მათ შორის ჩვენი დედამიწა – ორთქლებისა და გაზების გავარვარებული მასა გამოეყო ნანონაწილაკების სახით.

ატმოსფეროში ნანონაწილაკების მნიშვნელოვანი წყაროა მინერალური მტვერი, რომელიც ძლიერი ქარის მოქმედებით აიტაცება ნიადაგიდან, მაგრამ მთავარ წყაროდ დიდ სიმაღლეებზე გამოწვეულია ვულკანური პროცესების მოქმედებით. საინტერესოა, რომ ძველი რომის ერთ-ერთი პირველი მინერალოგი პლინუს უფროსი ახალი წელთაღრიცხვის 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევის დროს დაიღუპა (ვულკანური ფერფლისა და ღველფის ამონაფრქვევით დაიხრჩო).

აღსანიშნავია, რომ ნანონაწილაკების ატმოსფეროში ფორმირების მატება შეინიშნება მზის მაღალი ინტენსიურობის პერიოდში.

ნანონაწილაკები ჰიდროსფეროში წარმოიქმნება ე.წ. „შავი მწეველების“ ნაკადის მაღალ ზონაში, **„შავი მწეველები“ ზღვის წყალქვეშა (იგულისხმება ფსკერი) მაღალტემპერატურული ჰიდროთერმული წყაროებია, რომელიც დაახლოებით 10 წლის წინათ აღმოაჩინეს**. ძალზე მნიშვნელოვანია მეცნიერული დასკვნა, რომ „შავი მწეველები“ დედამიწაზე სიცოცხლის პირველი გაჩენის ადგილად ითვლება. სიცოცხლის ჩასახვიდან არანაკლებ ერთ მილიარდ წელს გაუვლია.

ჰიდროთერმული წყაროების ნაკადი გამოიყურება, როგორც შავი კვამლი ამოსული მილიდან, რის გამოც მიეცა დასახელება „შავი მწეველები“. ჰიდროთერმულ ხსნარში ნანონაწილაკებია, მაგრამ ცივ წყალთან შერევისას წარმოქმნიან ხილულ ნაწილაკებს და მადნეულ მინერალებს.

კერამიკული დარგის სპეციალისტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნანონაწილაკები მთის ქანებში და მაგმებში. ტუტეშემცველი ვულკანური მთის ქანების კერამიკაში გამოყენების შესაძლებლობათა ძიებაში უაღრესად დიდი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული გამოყენების სამუშაოები აქვთ ჩატარებული ქართველ მეცნიერებს, რომელთაგან

ჭკვიანია სანატრელია

ფასდაუდებელია საქართველოში სილიკატური მეცნიერების ფუძემდებლის, ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ კალისტრატე ქუთათელაძის ღვაწლი. იგი პირველი ჩაუდგა სათავეში საქართველოს ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეულის მეცნიერულ შესწავლას, მოწაფეებთან და გეოლოგებთან ერთად დაამუშავა აქტუალური საკითხები კერამიკის, მინის, სპეცცემენტების, ცეცხლგამძლე, ელექტროტექნიკური, სამშენებლო და სხვა მრავალი მასალის სამრეწველო გამოყენების მიმართულებით. ბატონი კალისტრატე იყო უაღრესად განათლებული მეცნიერი, გამორჩეული, ქართველი ადამიანისთვის დამახასიათებელი ამაღლებული თვისებებით და სულიერი სიკეთით შემკობილი.

მთის ქანების ქიმიური და ფიზიკური გამოფიტვისას მიმდინარეობს რთული გეოლოგიური პროცესები სილიკატების და სხვა ნაერთების წარმოქმნით, როგორიცაა ამორფული ანუ ოპალური კაჟმიწა, წყლიანი სილიკატები, ალუმოსილიკატური თიხები, ოქსიდები და ჰიდროქარსები.

რეტროგრადული, ანუ დაბალი საფეხურის მეტამორფოზის პროცესში მიმდინარეობს მინერალების ერთი სახეობიდან სხვა სახეობად გარდაქმნა. საინტერესოა ტერიკონების, ანუ ქანების ნაყარის სახეცვლილება, როცა ნანომინერალური ასოციაციები (მინისებური და პოლიკომპონენტური შედგენილობა) მეტასტაბილურ მდგომარეობაში გამოყოფს სასარგებლო წიაღისეულს. რჩება ფუჭი ქანები კეთილშობილი ლითონების მინარევებით (კვალის სახით). მიწის სიღრმიდან ამოღვრილი მაგმა მონაწილეობდა მაღალტემპერატურულ გეოლოგიურ პროცესებში, ამიტომ გაიარა ნანომდგომარეობის სტადია და მათი აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს დიდი ზომის სასარგებლო წიაღისეული კრისტალების ჩასახვის და თვითორგანიზებული ჩამოყალიბების პროცესი უპირველეს ყოვლისა ოქროსა და ვერცხლის. გარკვეული პერიოდის გასვლის (15-20 წელი) შემდეგ ფუჭი ტერიკონები შეიძლება გარდავქმნათ მეორად სასარგებლო წიაღისეულ საბადოდ!

შეიძლება ეს ჩანაფიქრი ვინმეს ფანტაზიად მოეჩვენოს, მაგრამ არა უჭირს რა – აწმყოს ფანტაზია ხშირად მომავლის ტექნიკად გარდაიქმნება. ჟიულ ვერნის ფანტაზიები, რომლებიც ახლაც გვიტაცებენ, დღევანდელი დღის რეალურ ამბად გადაიქცა! ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მისთვის, ვინაიდან ფანტაზია არის მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთი მეთოდი.

ჩვენი მიზანია, წიაღისთვის ბრძოლაში გამოვიყენოთ მთის მთელი მასა: არავითარი გადანაყარი ნაშთი, არავითარი გამოუყენებელი ქანი! ყველაფერი უნდა მოხმარდეს მრეწველობას, ხოლო ყველაზე გავრცელებული ელემენტები სილიციუმი და ალუმინი, ანუ ალუმოსილიკატები ვაქციოთ კერამიკული წარმოების საფუძვლად.

იმ მეცნიერებას, რომელიც მინერალებს შეისწავლის მინერალოგია ეწოდება, ქანების აღმწერს – პეტროგრაფი, საკუთრივ მიწის ქერქში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს შეისწავლის გეოქიმია, ხოლო მეცნიერება, რომელიც ასევე სწავლობს ჩვენი ბუნება-წიაღის აურაცხელ სიმდიდრეს და გონივრულად იყენებს მათ კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ეწოდება კერამიკა.

ნაწილაკური მატერია (Tr) შეიძლება იყოს სხვადასხვა დაავადების წყარო და სისხლში შეღწევისას შეიძლება გამოიწვიოს პათოლოგიური მოვლენები: ინსულტი, ავთვისებიანი სიმსივნე, ერთი ტიპის დიაბეტი, მეხსიერების დაკარგვა, პარკინსონი და ა.შ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ-ჯერობით არ არსებობს ეფექტური მეთოდები, რომ თავიდან ავიცილოთ ეს ნაწილაკები, აგრეთვე მკურნალობის ეფექტური სამედიცინო მეთოდები.

ნანონაწილაკების საშიში ბიოლოგიური ქმედება ადამიანზე შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ქიმიურმა შედგენილობამ, არამედ ნაწილაკების ზოგიერთმა ფიზიკურმა თვისებამ; ფოტოქიმიურად აქტიური ნაწილაკები სინათლის მოქმედებით წარმოქმნიან აღგზნებულ ელექტრონებს, ხოლო ეს უკანასკნელი რეაქციაში შედის ჟანგბადთან და ყალიბდება ისეთი ვერაგი ნაერთი, როგორიცაა სუპეროქსიდური რადიკალი.

ავადმყოფობა, რომელიც მიეკუთვნება სუპეროქსიდური, ანუ თავისუფალი რადიკალების კლასს, ფართოდაა გავრცელებული. მათი ორგანიზმში არსებობა განაპირობებს ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების შეფერხებას და ხშირ შემთხვევაში არის სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის ჩამრთველი მექანიზმი. ნაადრევი სიბერეც თავისუფალი რადიკალების, ანუ ტოქსინების აქტიურობითაა გამოწვეული.

ნანონაწილაკების ხელაღებით გამოყენება მათი წინასწარი შესწავლის გარეშე, როგორც მედიცინაში, ასევე სხვა დარგებში დაუშვებელია. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში (შეგნებულად არ ვასახელებ ავტორებს) საუბარია სამკურნალო ჟელესმაგვარ მასაზე. რეკომენდირებულია ცოცხალ ორგანიზმში მისი ინექციით შეყვანა. ასეთი ქმედება საშიშია, დიდი ალბათობით „მკურნალობა“ შეიძლება ფატალური შედეგით დამთავრდეს, ვინაიდან საინექციო მასას წინასწარ უნდა ჩაუტარდეს სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზა და ამის შემდეგ ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდით უნდა განისაზღვროს მასში რეაქციულად აქტიური პარამაგნიტური ცენტრები, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ ბიოლოგიურ სტრუქტურებზე.

შეუძლებელია, ულტრადისპერსული რაღაც ნარევების დაბალ ტემპერატურაზე გამოწვით მიიღოთ ცეცხლგამძლე მასალა – ეს კერამიკული ტექნოლოგიის ანბანური ჭეშმარიტებაა.

შეუძლებელია სპეცკერამიკული მასალების მიღება ნანონაწილაკების გამოყენებით, როცა ცეცხლის (გამოწვის) მოცულობითი ჩაჯდომა 10-20%, ან კიდევ მაგნეზიალური შპინელის სინთეზი, რომელიც გამოწვის შემდეგ 25%-ით ფართოვდება. ზოგიერთი მკვლევარი ასეთ შემთხვევებში უგულებელყოფს ორჯერადი თერმული დამუშავების რეჟიმს, თითქოს ამარტივებს ტექნოლოგიურ პროცესს, რაც დაუშვებელია. სამწუხაროა, რომ ასეთი სერიოზული ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა სამეცნიერო ნაშრომებშიც შეინიშნება.

ჩვენი კოლეგების ნაწილში ეგოიზმის და ამპარტავნობის სინდრომი მძლავრობს, ეს კი უნებისყოფო ადამიანში სულიერების შესუსტებას იწვევს, რაც თავისთავად საზოგადოების კეთილშობილური საწყისის მტერი და ყოველგვარი შეცდომების წამახალისებელია.

„ზოგიერთი თანამდებობა ციცაბო კლდესა ჰგავს, ან არწივი უნდა იყო, რომ აფრინდე, ან ქვემძრომი, რომ აცოცდე“ (შარლ მორის დე ტალეირანი). ცუდია ქვეყნისათვის, როცა ადამიანები პოლიტიკაში თუ მეცნიერებაში ქვემძრომობით და სხვადასხვა მაქინაციებით სახელს იხვეჭენ. ვნახოთ, რას წერენ ჩვენი დიდი თანამემამულეები ქართველი კაცის დახასიათებისას „...საჭურველთა მოყვარულები, ამაყები, ლაღები, სახელის მაძიებლები, იმდენად, რომ სახელის გულისთვის არ დაგიდევენ არც ქვეყანას და არც მეფეს... ცოდნის დამჩემებელნი“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ვახუშტი ბაგრატიონი). „მხოლოდ უვიცობა, უკულტურობა, თავისთავზე დიდი წარმოდგენა და სიზარმაცეა ჩვენი შეურიგებელი და დამაბრკოლებელი მტერი ცოდნისაკენ მიმავალ ფართო გზაზე“ (იაკობ გოგებაშვილი).

საგაზეთო სტატიის საშუალებით მსურდა, მთავრობის ყურადღება გამემახვილებინა იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამა კერამიკის სპეციალობაში არ არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, უფრო მეტიც, იმყოფება არათანაბარ კონკურენტიან გარემოში. საქმე ისაა, რომ დაფინანსებულია სხვადასხვა დარგი: მშენებლობა, არქიტექტურა, მეტალურგია, მასალათმცოდნეობა და ა.შ. ამის გამო აბიტურიენტი ირჩევს დაფინანსებულ პროგრამებს. მდგომარეობა საგანგაშოა! მოგმართავთ პატივისცემით პრემიერ-მინისტრს, ბატონ მამუკა ბახტაძეს და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ მიხეილ ბატიაშვილს, 2019 წლიდან მოხდეს აღნიშნული სპეციალობის დაფინანსება, ვინაიდან კერამიკის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სხვა დარგების განვითარება და ფუნქციონირება.

ხუთია წელია, ვიბრძვით ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, სამწუხაროდ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“, როგორც იტყვიან, „შეაყარე კედელს ცერცვი!“ არა და ყველა აღიარებს, რომ სახელმწიფოს ნომერ პირველი პრიორიტეტი განათლება და მეცნიერებაა, რაც დარჩება მხოლოდ „ხმად მღაღადებლისა“ კერამიკის გარეშე! (მომავალ წელს გამოვა მონოგრაფია „ტრადიციული და ტექნიკური კერამიკის ტექნოლოგია“).

მხოლოდ ქართველი ხალხის სულიერმა მამამ, ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა თავის სააღდგომო ეპისტოლეში მოუწოდა ქვეყნის მთავრობას – „მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მინანქრის, კერამიკის, შუშის და თიხის წარმოებას“. 2019 წლის მარტიდან პროფესიული სწავლების სტუდენტებისთვის გაიხსნება ორი ახალი სპეციალობა: 1. ძვირფასი ლითონების მომინანქრების ტექნოლოგია და 2. მხატვრული კერამიკის წარმოების ტექნოლოგია.

მინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც მოგახსენოთ ჩემი აზრი. ამ დღეებში ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნდა პუბლიკაციები: „სამონადირეო ტურიზმი ქვეყანას დიდ ინვესტიციებს მოუტანს“ და „ბოლო წლებში 9700 ჰექტარი ტყე გაიჩეხა! ქვეყნის მასშტაბით ტყეს 63 კომპანია ჩეხს!“

70 წელზე მეტია, რაც მონადირედ მახსოვს ჩემი თავი (დღესაც გრძელდება), მოვლილი მაქვს ამიერ და იმიერკავკასიის მთა-ბარი! სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი ფაუნა და ფლორა. რაც 50 წლის წინათ საქართველოში ნადირ-ფრინველი იყო, ის დღეს თითქმის გამქრალია. ბოლო 3-4 წელია მწყერიც კი კატასტროფულადაა შემცირებული, ჩვენ ტყეებში და ველ-მინდვრებში მხოლოდ მღრეღნელებს და მელა-ტურას თუ შეხვდებით. მიზეზი? მიზეზი მრავალია: ტყეების განადგურება და ხანძრები, მოწამლული სათესლე მარცვალი და შხამქიმიკატების უკონტროლოდ გამოყენება, ბრაკონიერობა, რომელიც ბუნებისა და ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი დიდი ბოროტებაა.

მწყრის თუ ჩიბუხას განუსაზღვრელი რაოდენობით ხოცვა კარგ მონადირეობას არ ნიშნავს. ყოველთვის კარგი თოფი მქონდა და სროლაც გვარიანი ვიცოდი, არც მუშა ძაღლები მაკლდა, მაგრამ ამით ბოროტად არასდროს მისარგებლია. ლამაზი ნაბულიდან აფრენილი ღალღის თუ ტყის ქათმის სხარტი ნასროლით ჩამოგდება ჩემთვის ყოველთვის უდიდესი მონადირული სიამოვნების მომგვრელი იყო და მეტი რაღა მინდოდა, ბუნების სიყვარული, მასთან ურთიერთობა და ნადირ-ფრინველის პატივისცემა ნამდვილი მონადირის უპირველესი თვისებაა.

დიდი ილიას თქმისა არ იყოს, ყველა ჩვენგანში ზის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან. იგია ჩვენი საქციელის მეთვალყურე და მსაჯული, ყველაფერში მას უნდა ვაბარებდეთ ანგარიშს – სინდისთან გარიგება ულირსი ადამიანის საქმეა.

რეზო ლაღიძის (ხშირად გვინადირია და გვითევზავია ერთად) დიდებული ჰიმნი-სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსა“ სოციალისტური აგიტპლაკატი არ ყოფილა. ის მომავლის ჭვრეტა და მასზე წუხილი იყო, ეს დრომ დაამტკიცა.

მე ვეთანხმები კორესპონდენტს, რომ სამონადირე ტურიზმი ჩვენი ღარიბი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო იქნება, ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოში ნადირობის ისეთივე წესრიგი დამყარდება, როგორც გერმანიაში, ჩეხეთში, პოლონეთში და ევროპის სხვა ქვეყნებშია.

საპრეზიდენტო მარათონი დასასრულს უახლოვდება, ვინ გახდება საქართველოში პრეზიდენტი, ბატონი გრიგოლ ვაშაძე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის გაგრძელებას აპირებს, თუ „მოღალატედ“ შერაცხილი ჩვენი სასიქადულო და საამაყო ადამიანების შთამომავალი, პატრიოტული გრძნობებით აღზრდილი სალომე ზურაბიშვილი. მე ყოველთვის ვიყავი და ვარ დიდი ილიას ამ მოწოდების ერთგული:

უბედურება რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის ისიც არის, როცა ერთგვარ ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგანი გახდება. როცა ბეზღობა, – ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმაპურს აწვდის მაბეზღარს, – მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებიაო... გაცვეთილი კაცისგან ყველაფერი მოსალოდნელია...

მახსენდება საჩხერეში ეკლესია-სასაფლაო სობოროს პირველი ბერის იასონის სიტყვები, როცა ის კვირაში ორჯერ 10-15 წლის ბავშვებს შეგვკრებდა და სასულიერო თემებზე გვესაუბრებოდა. ხშირად უთქვამს – ძაღლი ქალს არ შეუყეფავსო! დღეს რას ვხედავთ, მთელი ნაციონალური გაერთიანება როგორ უღრენს ქალბატონ სალომეს შინ თუ გარეთ!

საპრეზიდენტო არჩევნებში 3 558 437 მონაწილე თანამემამულენო! გაიაზრეთ უფლის ანგელოზის შეგონება პეტრე იბერიელისადმი: პეტრე, ნუ მიუპყრობ სასმენელთა შენთა ურგებთა სიტყვათა!..

ერთადერთი, რაც მოგვეთხოვება, ის არის, რომ ცისკენ ხელაპყრობილი არ უნდა ვიდგეთ ციური მანანის მოლოდინში. ჩვენი მთავარი იარაღი არის თვითდაჯერება და რწმენა, რომ ყველაფერი გამოგვივა, ჩვენი მრავალი წლის ოცნება ახდება, სისრულეში მოვა. მივხვდებით და გავიხსენებთ ალექსანდრე მაკედონელის ანდერძს. გარდაცვალებამდე ალექსანდრე მაკედონელმა არმიის მთავარსარდალს სამი სურვილი გაანდო: 1. მსურს, ჩემი სასვენებელი ხელით წაიღონ მთელი ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმულმა მკურნალებმა; 2. მინდა გზაზე, სადაც ჩემს უსიცოცხლო გვამს გაატარებენ, უთვალავი ძვირფასი ქვა და ოქროს ზოდი მიმოფანტონ; 3. მსურს, სასვენებლიდან ჩემი ხელები მოჩანდეს.

გაკვირვებულმა მთვარსარდალმა მბრძანებელს სთხოვა, აეხსნა თუ რატომ ისურვა მან ამ სურვილების შესრულება. მან უპასუხა: 1. მსურს, საუკეთესო ექიმებმა წაიღონ ჩემი სასვენებელი, რომ მთელმა ქვეყანამ დაინახოს, რომ სიკვდილის წინაშე ყველაზე კარგი ექიმებიც კი უძლურნი არიან; 2. მინდა ჩემი სიმდიდრე ძირს მიმოფანტონ, რათა ყველამ დაინახოს, რომ ყველაფერი რასაც ამ ქვეყნად ვიქმთ, აქვე რჩება; 3. მსურს, მთელი ქვეყანა ხედავდეს ჩემს ხელებს, რადგან ყველამ გაიაზროს, რომ მთელი ქვეყნის მბრძანებელი იმ ქვეყნად ცარიელი წავიდა.

მაკედონელის ეპოქაში, ცეცხლსასროლი იარაღი ჯერ კიდევ არ არსებობდა. გამახსენდა პრეზიდენტობის ერთ-ერთი მაძიებელი (მთელ საქართველოში საპროპაგანდოდ უხვად გამოკრული პორტრეტების გმირი) როგორ მოგვიწოდებდა რუსულ „ჟანგიან“ ტანკებთან დანა-ჩანგლით და აქანდაზით გვებრძოლა. ახლა სხვა დროა, თქვენმა დაუოკებელმა სურვილმა ქვეყნის ამირსპასალარი გამხდარიყავი, ჩაილურის წყალი დალია!

ცივილიზაციის მდგრადი განვითარება, შესაძლებელია მხოლოდ სტაბილური ენერგეტიკული უზრუნველყოფით. მთელ მსოფლიოს მომავალი ენერგეტიკაში დღეს დაკავებულია ატომურ ენერგიასთან, თერმობირთვულ სინთეზთან, წყალბადის ენერგეტიკასთან და სხვა არატრადიციულ ენერგიის წყაროებთან. მაგრამ ამ გზით ენერგეტიკის განვითარებისას არ უნდა დავიწყოთ მედლის მეორე მხარე – აუცილებელია, დაინერგოს ახალი ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები, სადაც საჭირო გახდება ნანოტექნოლოგიების გამოყენება, ანუ ობიექტების კონსტრუირების ტექნოლოგია შემდგარი ზღვრულად რამდენიმე მოლეკულისგან ან ატომებისგანაც.

ნანოტექნოლოგიის გამოყენებით მნიშვნელოვნად მცირდება მასალების და ენერგიის დანახარჯი. მეტალურგები, რომლებიც მუშაობენ მრეწველობაში ლითონის დაზოგვის პრობლემებზე მათ დიდ დამარებას გაუწევს ნანოტექნოლოგია.

დადგენილია, რომ მსოფლიოში მთლიანი გამომუშავებული ელექტროენერგიის 20-30% იხარჯება განათებაზე, მაგრამ თუ გადავალთ შუქდიოდებზე (ეს ნანოპროდუქტია), ხარჯი შემცირდება მნიშვნელოვნად.

დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ: თუ საქართველო მიისწრაფის დაიკავოს ღირსეული ადგილი ახალ პოსტინდუსტრიულ მსოფლიოში, აუცილებელია გამოვიმუშავოთ სტრატეგია, რომ შევქმნათ და განვავითაროთ ნაციონალური ნანოტექნოლოგია. შევაერთოთ სახელმწიფოს ძალისხმევა მეცნიერულტევადი ტექნოლოგიების და ბიზნესისთვის, რათა გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი XXI საუკუნეში.

სიამოვნებით ვიხსენებ გასული საუკუნის 50-იან წლებს, როცა მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ვაცდენდით ლექციებს და ჩხეიძის ქუჩიდან გავრბოდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, რათა დავსწრებოდით დიდი მეცნიერის შალვა ნუცუბიძის ლექციებს. ერთ-ერთ ლექციაზე ბატონმა შალვამ გაიხსენა ყურანიდან ციტატა: „ვისაც ერთი კაცი გაუზრდია და ერთი წიგნი დაუწერია იმის სახელი უკვდავია“. ჩვენ მოკრძალებით ვუერთდებით დიდი მეცნიერის და დიდი ტრიბუნის მოწონებულ სიბრძნეს და სტატიას ვამთავრებთ თავანკარა სასიყვარულო ნოტზე: იცოდე, რომ ბედნიერი ხარ თუ დედამიწაზე ერთ ადამიანს მაინც უყვარხარ, თუ ვინმეს მაინც ეშინია, რომ ცუდი არაფერი შეგემთხვეს, თუ ერთ ადამიანს მაინც ემეტება ბოლო ლუკმა შენთვის, თუ ერთხელ მაინც გყვარებია!..

გურამ გაფრინდაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი
ტელ.599 567765.

ევროპა საკუთარ მოსახლეობას აზარტული თამაშების გავლენისგან იცავს

ბოლო პერიოდში გააქტიურდა საუბრები იმის შესახებ, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესი უკონტროლოა. სახელმწიფოს არ აქვს ინფორმაცია იმ თანხებზე, რაც ამ სექტორში ბრუნავს, უცნობია აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების ოფიციალური სტატისტიკა და ის ნეგატიური გავლენები, რასაც ეს ბიზნესი ადამიანების ცხოვრებაზე ახდენს. კანონმდებლები განმარტავენ, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესი მარტივი რეგულაციის ქვეშ არ არის მოქცეული. აქედან გამომდინარე, 6-მა პარლამენტარმა მოამზადა კანონპროექტი, რომელიც სათამაშო ბიზნესის რეკლამირებას მაინც დაარეგულირებს. თუმცა, რამდენად გაიზიარებენ მათ მოსაზრებას დანარჩენი პარლამენტარები, ჯერჯერობით უცნობია.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, არის თუ არა აზარტულ თამაშებში ჩართვა მარტო უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში, როგორ არეგულირებს ერთ-ერთ უმსხვილეს ბიზნესს ევროპა.

გთავაზობთ საზღვარგარეთის პრაქტიკას, რომელიც კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფმა საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის დახმარებით მოამზადა.

რეკლამირების შეზღუდვა

ბულგარეთი – აზარტული თამაშობების შესახებ რეკლამა კრძალავს პირდაპირ რეკლამას (პირდაპირი რეკლამირებისას შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მომხმარებელს თამაშის შედეგად შეუძლია გადაჭრას პირადი და ფინანსური პრობლემები, ასევე მიაღწიოს ფინანსურ კეთილდღეობას), მათ შორის არასრულწლოვანთათვის განკუთვნილს, ასევე არამოთხოვნილი ელექტრონული წერილების გაგზავნას განუსაზღვრელი რაოდენობის პირთათვის, სადაც აზარტული თამაშობების შესახებ ინფორმაციაა.

გერმანია – ლიცენზირებული ოპერატორების რეკლამა დაშვებულია, თუ რეკლამა არაა მიმართული არასრულწლოვნებზე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე, ასევე, თუ შეცდომაში არ შეჰყავთ პირი თამაშში შანსებთან დაკავშირებით ან იმ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა მოიგოს.

შეზღუდულია რეკლამა ასევე ტელევიზიით, ინტერნეტში და ტელეკომუნიკაციის სხვა ფორმებით. გამონაკლისია ლიცენზირებული ლატარიები და სპორტული ფსონები იმ პირობით, თუ იქნება ნებართვა რეგიონული ხელისუფლებისგან.

დანია – აზარტული თამაშობების შესახებ კანონის თანახმად, რეკლამირებისას მოგების შანსი წარმოდგენილი უნდა იყოს კორექტულად, რათა მოთამაშეს არ შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მოგების შანსი უფრო მეტია, ვიდრე, რეალურად არის. აზარტული თამაშობები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც გართობა, ასევე არ უნდა იყოს რეკლამა, მიმართული 18 წლის ასაკზე ნაკლებ პირებზე. თუ რეკლამაში მონაწილეობს ცნობილი სახე, არ უნდა იყოს ისე გადმოცემული, თითქოს აზარტული თამაშობების შედეგად გახდა ის წარმატებული, თუ ეს მართლა ასე არ არის (მაგალითად, პოკერის ცნობილი მოთამაშეები).

ესტონეთი – დაშვებული აზარტული თამაშობების რეკლამის ტექსტი უნდა შეიცავდეს შემდეგ გაფრთხილებას. გაფრთხილება უნდა იყოს შესამჩნევი, გასაგები და სხვა ინფორმაციისგან ნათლად გამოკვეთილი.

ირლანდია – აზარტული თამაშობების რეკლამა არასდროს არ უნდა იყოს მიმართული ბავშვებისკენ და მოზარდებისკენ; ის არ უნდა ასოცირდებოდეს ახალგაზრდული ცხოვრების სტილთან; რეკლამაში არ უნდა მონაწილეობდნენ ცნობილი სახეები, რომლებიც ახალგაზრდების კერპები არიან; რეკლამაში არ უნდა იყოს ნაჩვენები, რომ აზარტული თამაშობების ფინანსური პრობლემების მოგვარების გზაა;

იტალია – აკრძალულია ისეთი რეკლამა მასმედიის ნებისმიერი საშუალებით, რომელიც იწვევს პირის აზარტულ თამაშებში მონაწილეობის წახალისებას, ან სადაც არაა ინფორმაცია თამაშის რისკებთან დაკავშირებით.

ლიტვა, ლატვია – აკრძალულია აზარტული თამაშობების რეკლამა სათამაშო დაწესებულებათა გარეთ.

პორტუგალია – დაუშვებელია აზარტული თამაშობების რეკლამა სატრანსპორტო საშუალებებზე, სარეკლამო ბანერებზე და ა.შ. იგი უნდა იყოს განთავსებული სასკოლო და საბავშვო დაწესებულებებიდან მინიმუმ 250 მეტრის დაშორებთ.

საფრანგეთი – რეკლამა უნდა შეიცავდეს აზარტული თამაშობებისადმი დამოკიდებულების წინააღმდეგ გაფრთხილებას.

შეზღუდულია კინოთეატრებში არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი სეანსების დროს აზარტული თამაშობების რეკლამის გაშვება.

ფინეთი – რისკთან დაკავშირებული აზარტული თამაშობების დროს, როგორიცაა ონლაინ გადაფხიკე და მოიგე, ცხენებზე ფსონების დადება და კაზინო, არ შეიძლება რეკლამირებული იყოს სათამაშო მაგიდების, კაზინოსა და იპოდრომის გარეთ.

ჩეხეთი – აზარტული თამაშობების რეკლამა არ შეიძლება განთავსდეს სკოლებთან ან სხვა საბავშვო დაწესებულებებთან. პირი, რომელიც მონაწილეობს რეკლამაში, არ უნდა იყოს 25 წელზე ნაკლები ან არ უნდა გამოიყურებოდეს ამ ასაკზე უფრო ნაკლებად.

ელექტრონულ-სისტემური ფორმით მოწყობილი (ე.წ. ონლაინ) თამაშობებზე, მათ შორის საერთაშორისო საიტებზე წვდომის შეზღუდვა

ე. წ. ონლაინ კაზინოებზე წვდომა შეზღუდულია 2 ქვეყანაში (გერმანია, შვედეთი – შვედეთში დაშვებულია ონლაინ პოკერი), ხოლო ნიდერლანდებში ყველა სახის ონლაინ კაზინოსა და პოკერზე წვდომა შეზღუდულია.

ავსტრია, ბელგია, ხორვატეთი – სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობების გამართვისას სავალდებულოა, სერვერები განთავსებული იყოს ქვეყნის ტერიტორიაზე;

ჩეხეთი – სერვერები განთავსებული უნდა იყოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე;

დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანო

დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანო შექმნილი აქვს **დანიასა** და **საფრანგეთს**.

საფრანგეთში განასხვავებენ ონლაინ და მიწაზე განთავსებული აზარტული თამაშობების მაკონტროლებელ ორგანოებს. ე. წ. ონლაინ აზარტული თამაშობების მაკონტროლებელი ორგანო არის ცალკე მდგარი, კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს 2010 წლის 12 მაისიდან. მაკონტროლებელი ორგანო უზრუნველყოფს ონლაინ აზარტული თამაშობების პოლიტიკის, საკანონმდებლო აქტების შემუშავებას, რომელთა მიზანია:

- მომხმარებელთა და მოწყვლადი ჯგუფის უფლებების დაცვა;
- სათამაშო ოპერაციების კეთილსინდისიერება;
- ფულის გათეთრებისა და გადასახადების დამალვის რისკის შემცირება;
- შესაბამისი ნებართვების გაცემა;
- თამაშზე დამოკიდებულ ადამიანთა უფლებების დაცვა;
- არალეგალური, ნებართვის არმქონე საიტების წინააღმდეგ ბრძოლა;
- თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა;

რაც შეეხება მიწაზე განთავსებული კაზინოების კონტროლს, ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს ლიცენზიების გაცემას და მიწაზე განთავსებული კაზინოების საქმიანობის რეგულირებას.

დანიის აზარტული თამაშების მაკონტროლებელი ორგანო კი არის საგადასახადო სამინისტროს დირექტორთა საბჭო.

მაკონტროლებელი ორგანო, როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, შექმნილი აქვს **ბელგიას, ლიტვას, პორტუგალიას, შვედეთს. ხორვატეთში, ჩეხეთში, გერმანიასა** და **ავსტრიაში** აზარტული თამაშების რეგულაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო უწყებები (შსს; ფინანსთა სამინისტრო;).

ასაკობრივი ცენზი

საბერძნეთი; ესტონეთი – ასაკობრივი შეზღუდვა აზარტული თამაშობების მონაწილეთათვის არის 21 წელი;

ავსტრია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა – ასაკობრივი შეზღუდვა აზარტული თამაშობების მონაწილეთათვის 18 წელია.

რეგისტრაცია

გერმანია – შემოწმება/ვერიფიკაცია ხდება პირთა იდენტიფიცირებისა და აუტენთიფიკაციის მეშვეობით, რაც გულისხმობს პირის ბიომეტრიული ინფორმაციის მიღებას, ციფრული ხელმოწერით დადასტურებას და ა.შ.

დანია – მოთამაშის მიერ მიღებული ინფორმაცია შემოწმებული და დადასტურებული იქნება ასევე ციფრული ხელმოწერით, OCES (Offentlige Certifikater til Elektronisk Service – ელექტრონული მომსახურების საჯარო სერტიფიკატი) სტანდარტის დაცვით. ონლაინ თამაშის ოპერატორი უნდა დარწმუნდეს, რომ ციფრული ხელმოწერა ნამდვილად რეგისტრირებულ მოთამაშეს ეკუთვნის.

ირლანდია – მოთამაშე საიტზე დარეგისტრირების შემდეგ ვალდებულია ატვირთოს სკანირებული მართვის მოწმობა ან პასპორტი.

ჩეხეთი – ონლაინ კაზინოში თამაშის მსურველი თავდაპირველად უნდა დარეგისტრირდეს აღნიშნული კაზინოს რეალურ ოფისში და მხოლოდ შემდეგ ექნება შესაძლებლობა ითამაშოს ონლაინ. ამგვარად ხდება მოთამაშის ზუსტი ასაკის დადგენა.

შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესი 7 საკანონმდებლო აქტით რეგულირდება:

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

2. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

3. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

4. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;

5. „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“;

6. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის №611-1013 ერთობლივი ბრძანება;

7. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების და „სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 28 ივლისის №94 ბრძანება.

ბაჩო ადამია

სენაკური დღე სასწაული

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი რაკვერეს (ესტონეთი) და ბელაია ცერკოვის (უკრაინა) რაიონებთან სენაკელთა მეგობრობას. პოლიტიკური ქარტეხილების გამო კარგა ხანს შეწყვეტილი ეს ურთიერთობა სენაკის მუნიციპალიტეტის ინიციატივით აღდგა.

სტუმარ-მასპინძლებმა კვლავ მოიყარეს ერთად თავი „ეგრისობის“ სახალხო დღესასწაულზე, რომელიც 26-წლიანი შესვენების შემდეგ სენაკსა და ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის ტერიტორიაზე წლეულს მეხუთედ აღინიშნა. ღონისძიების მონაწილეებმა ქალაქის ცენტრალურ პარკში გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ეროვნული გმირის – ჟიული შარტავას ბიუსტი; რუსთაველის, მშვიდობისა და რაკვერეს ქუჩებზე საზეიმოდ გაიხსნა სენაკთან დამეგობრებული ქალაქების – რაკვერესა და ბელაია ცერკოვის თემატური აბრები, „ბელაია ცერკოვის“ სახელობის სკვერი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი ჯიქია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, საპატიო სტუმრები – უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვის მერი გენადი დიკი, უკრაინის რადის დეპუტატი ხვიჩა მეფარიშვილი, უკრაინაში ქართული დიასპორის ხელმძღვანელი რომან გადელია, საქართველოში ესტონეთის კონსული იურგო ლოო, ესტონეთის ელჩის თანაშემწე ნატალია ფანჯიკიძე, საქართველო-ესტონეთის მეგობრული ურთიერთობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ირინა ჩხიკვიშვილი, უკრაინელი ბიზნესმენები, სენაკის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

– მიხარია, რომ ჩვენს ორ ქალაქს შორის მეგობრობის ხიდი ისევ აღდგა, – გვითხრა **გენადი დიკიმ**. – საქართველოს და უკრაინის მიმართ რუსული აგრესიის პირობებში აუცილებელია როგორც სახელმწიფოებს, ისე ქალაქებს შორის მჭიდრო ურთიერთობა და ძმობა. წლეულს სექტემბერში სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ლევან კუპრეიშვილი გვესტუმრა ბელაია ცერკოვის ზეიმზე. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენი დელეგაცია დღეს ამ შესანიშნავ ქალაქშია და უნიკალურ დღესასწაულს ესწრება. ვიცი, ქართველები სტუმართმოყვარეები ხართ, მაგრამ ასეთ ზღაპრულ დახვედრას სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი: ჩვენი ქალაქის სახელობის სკვერი, უკრაინულ ფორმაში გამოწყობილი ანსამბლი, ჩვენი ხალხური სიმღერები... ერთი სიტყვით, ყველაფერი ბრწყინვალეა. დიდი მადლობა ბატონ ლევანს ასეთი საოცარი მასპინძლობისთვის.

იურგო ლოო: ორი საუკუნის მიჯნაზე სენაკსა და რაკვერეში ბევრჯერ შეიცვალა ხელმძღვანელობა, რის გამოც ამ ორ ქალაქს შორის ურთიერთობა მინელდა. ახლა სენაკის მერის – ლევან კუპრეიშვილის ინიციატივით უწინდელი ტრადიციები აღორძინებას იწყებს. დღევანდელი ზეიმიც ამის დასტურია. საქართველოში ესტონეთის საელჩო ამ მეგობრობის გასაგრძელებლად და გასამყარებლად ყველაფერს გააკეთებს...

„ეგრისობის“ დღესასწაული ქალაქის იპოდრომზე სენაკისა და საქართველოს სხვა საცხენოსნო კლუბების მონაწილეობით გამართულმა საინტერესო შეჯიბრებებმა – არამატერიალური, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში შესულმა ისინდმა, ცხენბურთმა და მარულამ დაამშვენა. ეს არ ყოფილა შემთხვევითი: საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1927 წელს სენაკში პირველად ჩაუტარებიათ დღესასწაული საცხენოსნო სპორტის ეროვნულ სახეობებში: ისინდში, თარჩიაში, ცხენბურთში, ჩერეზში, მოქნევაში, მარულასა და ყაბახში. ამჯერად ცხენბურთსა და ისინდში ჭალადიდელი და თეკლათელი სპორტსმენები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ხოლო 1600-მეტრიან დოღში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ალექსანდრე მირუაშვილი (ბათუმი), 2. ზაურ ტოტიკოვი, 3. ბექა ჯიქია (ორივე-ფოთი). გამარჯვებულები და პრიზიორები ფულადი პრიზებით, თასებით, მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს.

დღის მიწურულს „ეგრისობის“ მონაწილეებმა ნოქალაქევში ციხე-გოჯის ტერიტორიაზე გადაინაცვლეს, დაათვალიერეს პარმენ ზაქარაიას სახელობის მუზეუმი და ქუჯის ისტორიული ციხე-ქალაქი, საგანგებოდ მოწყობილი ეთნოგრაფიული კუთხეები – ქართული, უკრაინული და ესტონური ხალხური რეწვის ნიმუშები, ადგილობრივ შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა. ხელოვნების ცენტრის მოსწავლეებმა სტუმრებისთვის ესტონური და უკრაინული სიმღერები შეასრულეს. სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე გალა-კონცერტი გაიმართა: მსმენელთა წინაშე წარდგნენ სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის წარმატებული მოსწავლეები – საბავშვო და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეოთხე ეროვნული კონკურსის გამარჯვებული რატი სიმონია და საქართველოს „არტაკადემიის“ სტიპენდიატი გიორგი ცისკაძე; სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხისა“ და ლეგენდარული სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის სენაკის სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კუჩხი ბედინერის“ მოცეკვავეებმა ესტონური და უკრაინული ცეკვები შეასრულეს; ენგურსიქითა საქართველოს – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა, „ქართულმა ხმებმა“, „კოლხურმა ტრიომ“, ფოლკლორულმა ანსამბლმა „კავკასიონმა“ და სოფო ბედიას შესრულებულმა სიმღერებმა ზეიმის მონაწილეთა მოწონება დაიმსახურეს.

სახალხო დღესასწაულის მონაწილეებს ლევან კუპრეიშვილმა, ტრადიციულად, სენაკის საპატიო მოქალაქეები წარუდგინა. ეს წოდება მიენიჭათ რეგიონული, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსების მრავალგზის ლაურეატს, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგ **რუსუდან მილიუტინას;** ცნობილ ექიმ **გიორგი კალანდარიშვილს;** დამსახურებულ მშენებელს, ღირსების ორდენის კავალერ **რაულ ოდიშარიას;** დამსახურებულ ინჟინერ **ალექსანდრე (კუკური) ჩაჩიბაიას;** საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ღირსების ორდენოსანს, 17 წიგნის ავტორს, არაერთი პრემიის ლაურეატს, სპორტის დამსახურებულ მოღვაწე **ვაჟა დანელიას**.

– დღეს დიდი დღეა სენაკში – „ეგრისობას“ ვზეიმობთ. ყველა სენაკელს, ჩვენს სტუმრებს – უკრაინელ და ესტონელ მეგობრებს, იმ ადამიანებს, ვისაც სენაკის წარმატება უხარია, ვულოცავ ამ დღესასწაულს. განსაკუთრებით მინდა მოვეფერო ხუთ დამსახურებულ პიროვნებას, რომლებსაც სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ. ეს ტრადიციები მომავალშიც გაგრძელდება და უფრო გრანდიოზული გახდება, რადგან „ეგრისობა“, თვალს თუ გადავავლებთ ჩვენს ისტორიას, მარტო სენაკის კი არა – სრულიად საქართველოს დღესასწაულია, – გვითხრა **ლევან კუპრეიშვილმა**.

„ეგრისობა – 2018“ გრანდიოზული ფიერვერკით დასრულდა.

ვაჟა ცინცაძე

ტურიზმი ყველაზე დიდი საექსპორტო სექტორია!

„ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი კი არა, ალბათ ჩვენი ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. საქართველო ტურისტული ქვეყანაა და დღესდღეობით, საქართველოს ეკონომიკას რომ შევხედოთ, ტურიზმი ყველაზე დიდ საექსპორტო სექტორს წარმოადგენს, რომელიც კიდევ უფრო გაიზრდება და მნიშვნელოვანი გახდება ჩვენი ქვეყნისთვის“, – განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო ფორუმის, Welcome Challenge-ის გახსნაზე, რომელიც თბილისში იმართება. როგორც მინისტრმა ღონისძიებაზე გამოსვლაში აღნიშნა, ამ მასშტაბის ფორუმების საქართველოში გამართვა ძალიან მნიშვნელოვანი და საპატიოა.

მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო ფორუმი Welcome Challenge საქართველოში პირველად, პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით ტარდება. ღონისძიების მიზანია, ინოვაციებით გამორჩეული სტარტაპებისთვის შეიქმნას საერთაშორისო ფორუმი, სადაც მასშტაბური პროექტები გამოვლინდება.

საქართველოსა და მალაიზიის ბიზნეს-გაერთიანებები ითანამშრომლებენ

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და მალაიზიის ეროვნულ სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. ოფიციალური ცერემონია მალაიზიაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიორგი შარვაშიძის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. საქართველოს დელეგაციას მალაიზიის ეროვნული სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ტან სრი დატუკ ტერ ლეონგ იაპმა უმასპინძლა.

ოფიციალურ ცერემონიამდე გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, ასევე ორი ქვეყნის ბიზნეს-წრეებს შორის კონტაქტების დამყარების პერსპექტივების, ვიზიტების გაცვლისა და ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზების შესახებ. გამოითქვა იმედი, რომ აღნიშნული მემორანდუმის ხელმოწერა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

ღონისძიების დასასრულ შედგა გიორგი შარვაშიძისა და ტან სრი დატუკ ტერ ლეონგ იაპის ერთობლივი პრესკონფერენცია, სადაც მხარეებმა მედიის წარმომადგენლებთან ისაუბრეს მემორანდუმის გაფორმების მნიშვნელობასა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების სამომავლო პერსპექტივებზე.

◎ წინ, საქართველო!

გოგა ჩხეიძე ევროპის ჩემპიონია!

20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც პოლონეთის ქალაქი ზამოსცი მასპინძლობს, 23-წლამდელთა 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა ზუგდიდელმა გოგა ჩხეიძემ - ქართველმა ათლეტმა სამი მედალი დაიმსახურა: ატაცში მან სამივე ცდა გამოიყენა და 139 კილოგრამით ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამდენივე დაძლია რუსმა მაქსიმ კონოპლიოვმა, მაგრამ ეს წონა მან ქართველის შემდეგ დააფიქსირა და ბრინჯაოს მედალი ერგო. ამ მოძრაობაში ჩემპიონი 140 კილოგრამით იტალიელი მირკო ძანი გახდა.

ჩხეიძე შეუდარებელი ოყო აკვრაში — 174 კილოგრამით თავისივე საქართველოს რეკორდი გაიმეორა და ყველას აჯობა. 165-165 კილოგრამით მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, იბრაჰიმ რაშა (აზერბაიჯანი) და მაქსიმ კონოპლიოვი (რუსეთი) გავიდნენ. გოგას 313 კილოგრამით ორჭიდშიც უმაღლესი სინჯის ჯილდო ხვდა.

69 კგ. 1. გოგა ჩხეიძე (საქართველო)- 313 (139+174), 2. მირკო ძანი (იტალია)- 304 (140+164), 3. მაქსიმ კონოპლიოვი (რუსეთი)- 304 (139+165).

ლექსო ცინცაძე

„კლასიკოსები“ დღეს იწყებენ

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილით მორკინალებმა თითო ოქრო-ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეორედ ავიდა გენო პეტრიაშვილი (125 კგ), ავთანდილ კენჭაძემ (74 კგ) კი ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა. ასპარეზობის ბოლო დღეს ზურაბ იაკობიშვილსა (70 კგ) და ელიზბარ ოდიკაძეს (97 კგ) ბრინჯაოს მედლები ერგოთ. იაკობიშვილმა ბუდაპეშტში ზედიზედ დაამარცხა სლოვაკი ტაიმურაზ სალკაზანოვი (2:1), უზბეკი ისტიორ ნავრუზოვი (5:1), ნახევარფინალი რუს მაგომედრასულ გაზიმაგომედოვთან დათმო (1:3), ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში კი მონგოლ ბიამბადორჟ ბატ ერდენეს აჯობა (10:0).

ზედიზედ ორ გამარჯვება იზეიმა ოდიკაძემაც — ვენესუელელ ხოსე დანიელ დიაზ რობერტსა (10:0) და აზერბაიჯანელ ასლანბეკ ალბოროვს მოუგო (4:3), მაგრამ ნახევარფინალში რუს აბდულრაშიდ სადულაევთან ვერაფერს გახდა (0:10). მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში მან უზბეკი მაგომედ იბრაგიმოვი დაამარცხა (5:2). საბოლოოდ მსოფლიოზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 105 ქულით გუნდური მესამე ადგილი დაიკავა. პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, რუსეთი (178) და აშშ (150) გავიდნენ.

დღეს უნგრულ ხალიჩაზე მედლებისთვის საბრძოლველად ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები გავლენ. საქართველოდან ჩემპიონატში 10 ფალავანი ჩაებმება. ესენი არიან: ნუგზარ წურწუმია (ხობი, 55 კგ), დავით ჩხარტიშვილი (ოზურგეთი, 60), ლაშა მარიამიძე (თბილისი, 63), შმაგი ბოლქვაძე (აჭარა, 67), გიორგი ხუჭუა (ოზურგეთი, 72), თორნიკე ძამაშვილი (გარდაბანი, 77), ლაშა გობაძე (აჭარა, 82), რობერტ კობლიაშვილი (გარდაბანი, 87), რევაზ ნადარეიშვილი (თბილისი, 97), ზვიად პატარიძე (ქუთაისი, 130). მძიმე წონაში იაკობ ქაჯაიამ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად ზვიად პატარიძე იჭიდავებს.

ვაჟა დანელია

◎ ჩემპიონთა ლიგა

სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს

ამ დღეებში დავით ხოჭოლავა უკრაინელ მოდელზე დაქორწინდა, რასაც სულითა და გულით ვულოცავთ, მაგრამ ოჯახურმა ბედნიერებამ დონეცკის „შახტარის“ ქართველი ლეგიონერისგან პროფესიული თვალსაზრისით დიდი მსხვერპლი მოითხოვა — მან დონბასური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ვიმედოვნებთ, დროებით.

ძნელი სათქმელია, რამდენად იმოქმედა აღნიშნულმა ფაქტმა მის პარტნიორებზე, ის კი ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის პირველი წრის ფინიშზე „მანჩესტერ სიტისთან“

შინ გამართული შეხვედრა უკრაინელებმა პირწმინდად დათმეს — 0:3.

III ტურის დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: „რომა“ — ცსკა 3:0, აეკი — „ბაიერნი“ 0:2, „იანგ ბოიზი“ — „ვალენსია“ 1:1, „აიაქსი“ — „ბენფიკა“ 1:0, „მანჩესტერი “ — „იუვენტუსი“ 0:1, „რეალი“ — „პლზენი“ 2:1, „ჰოფენჰაიმი “ — „ლიონი“ 3:3.

გიორგი შოთაძე

◎ ვითარება

ის ახალი ძველია

კი გვეგონა, ქართულ ძიუდოში დანთებული ცეცხლი ჩაქრაო, მაგრამ თურმე ვცდებოდით.

გემახსოვრებათ, რომ რამდენიმე თვის წინათ ეროვნული ფედერაციის ყოფილმა თავკაცმა დავით ქევხიშვილმა ნაკრების ლიდერთა მიერ აგორებული საპროტესტო აქციების შემდეგ სკანდალურად დატოვა თანამდებობა და გუშინ სასტუმრო „ბილტმორში“ გამართულ ყრილობაზე სწორედ მისი მემკვიდრე იყო ასარჩევი. მონასტრის ხელმეორედ არევის მიზეზი პრეზიდენტობის მსურველთა შორის უკვე მოკვეთილთა გუნდის წევრების დასახელება გახდა.

მართალია, სამმა მათგანმა ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, მაგრამ ყოფილი გენერალური მდივნის გიორგი ათაბეგაშვილის გაპირველკაცებით საერთო სურათი უცვლელი დარჩა — მუსიკას ისევ ძველები უკვეთავენ.

ბუნებრივია, მოვლენათა ასეთ განვითარებას მეამბოხეთაგან მძაფრი რეაქცია და მეორე ფრონტის გახსნა მოჰყვა. კერძოდ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა ღიად გამოხატა აღშფოთება შექმნილი ვითარებით და ფედერაციის სათავეში ქევხიშვილის კადრის არჩევის გამო მორიგი ვნებათაღელვა დააანონსა.

მოკლედ, ქვეყანაში წინასაარჩევნო ციებ-ცხელების გენერალური რეპეტიცია დაიწყო.

კოგა კოგახიძე

◎ ჭადრაკის მოცარტი

თბილისისკენ მოუნევდა გული



მსოფლიოს მე-8 ჩემპიონი ჭადრაკში (1960-61), საერთაშორისო დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1957), ჟურნალ „წახ“-ის რედაქტორი, პროფესიით ჟურნალისტი მიხეილ ტალი დაიბადა ქ. რიგაში (1936). 10 წლისა ჭადრაკს კარგად თამაშობდა და თანატოლებში ცოდნითაც გამოირჩეოდა. ექსტერნად, ვადაზე ადრე დაამთავრა საშუალო სკოლა და უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

ჭადრაკის თამაშის ტალისებურმა სტილმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია — მოულოდნელი შეწირვები, მწვავე შეტევები, საოცარი კომბინაციები მისი თამაშის მანერა გახლდათ. როდესაც შეეკითხნენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტს (1950) დავით ბრონშტეინს, თუ როგორ თამაშობდა ტალი, მან ასე უპასუხა: „ფიგურებს განალაგებს ცენტრში და მათგან რომელიმე ფიგურის შეწირვით ჯოჯოხეთს დაუტრი ალებს მოწინააღმდეგესო“. „საჭადრაკო ხელოვნების მოცარტი “, „ჭადრაკის ჯადოქარი“ — ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ ახალგაზრდა ჩემპიონს.

ჭადრაკის სტაჟიან მოყვარულებს ახსოვთ 1960-1961 წლების მატჩი მსოფლიო პირველობაზე მიხეილ ბოტვინიკსა და მიხეილ ტალს შორის და ის თბილისური საღამოები, რომლებსაც რუსთაველზე, გრიბოედოვის და სარაჯიშვილის ქუჩების შესაყართან ატარებდნენ ამ ასპარეზობით დაინტერესებული ახალგაზრდები და ხანში შესულები, ყველა, ვისაც ჭადრაკი იტაცებდა.

გვიან ღამემდე მათ ემსახურებოდნენ კომენტატორები: საერთაშორისო ოსტატი, ცნობილი მწვრთნელი, მათ შორის ლეგენდარული ნონას აღმზრდელი მიხეილ შიშოვი, ოსტატობის კანდიდატები, მაშინ სრულიად ახალგაზრდა მოჭადრაკეები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გივი გამრეკელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გოგი კაკოიშვილი და სხვები.

სადემონსტრაციო დაფებთან თავმოყრილი უამრავი ჭადრაკის მოყვარული მოუთმენლად ელოდა ყოველი სვლის ტელეფონით გადმოცემას. მწვავედ კამათობდნენ, აკეთებდნენ თავისებურ პროგნოზებს... ერთი სიტყვით, რუსთაველზე საჭადრაკი ციებ-ცხელება არ ცხრებოდა. საინტერესო ორთაბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონი 1960 წელს გახდა მიხეილ ტალი (12,5:8,5).

ტალი თბილისის ხშირი სტუმარი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მასპინძელიც გახლდათ. აქ მას მრავალი მეგობარი ჰყავდა და სადაც არ უნდა ყოფილიყო, თბილისისკენ მოუწევდა გული!

გთავაზობთ მიხეილ ტალის ორ რჩეულ პარტიას:

ტალი — ბოტვინიკი
მოსკოვი, 1960



35. ♘c7 ♘f8 36. ♔b5 ♔e6
37. ♘e5 ♔c6 38. ♔a5 ♖a8
39. ♔d2 ♖c8 40. ♗g2 ♔d7
41. f4 ♔g4, 1:0

შენიშვნა: მ. ტალი მსოფილო პირველობის მატჩში საუკეთესოდ მოცემულ პარტიას მიიჩნევდა.

ტალი — ტრინგოვი
ამსტერდამი, 1964



13. ♔d6 ♔:c3 14. ♖d1 ♗d7
15. ♘:f7+ ♗:f7 16. ♗g5+ ♗e8
17. ♔e6+, 1:0

შენიშვნა: ტრინგოვი (1937) — ბულგარელი საერთაშორისო დიდოსტატი, ოლიმპიადების პრიზიორი.

მოამზადა თამაზ შენგელიამ

ქართულ-იტალიური საერთაშორისო კონფერენცია ტექნიკურ უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფოჯას უნივერსიტეტის (იტალია) პირველი ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია, რომლის გახსნას იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი დაესწრო.

„სამი მიზეზის გამო მომწონს ეს კონფერენცია. პირველი — ამ კონფერენციის იდეა მოდიოდა ქართველი დოქტორანტისგან, რომელიც სწავლობს ფოჯას უნივერსიტეტში, მეორე — აქ განხილული საკითხები არის საკმაოდ საინტერესო. ეს ეხება მოკლე მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტს და საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს აგროკულტურა დაფუძნებულია მცირე კომპანიებზე და მესამე — ჩვენ გვაქვს ის გამოცდილება, რომელიც საქართველოს უნდა გავუზიაროთ“, — ასე შეაფასა იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია — **„მრეწველობის დარგების დინამიკა და თანამედროვე ტენდენციები საქართველოსა და ევროკავშირში: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში“.**

კონფერენციის თემატიკა მოიცავდა არა მარტო ტექნიკურ მიმართულებებს, არამედ მენეჯმენტის, ეკონომიკის, ბიზნესის, სამართლის, აგრარულ და ბიოსამედიცინო სფეროებს, ბიზნესსაქმიანობაში ტექნოლოგიების კიდევ უფრო აქტიურად გამოყენების საკითხებს.

როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ მეცნიერების დარგში, პროფესორმა ზურაბ გასიტაშვილმა აღნიშნა, მრეწველობის დარგების განვითარების დინამიკა საქართველოში მნიშვნელოვნადაა განპირობებული საუნივერსიტეტო ინოვაციურ შემოქმედებაზე.

„ამ მხრივ მთელ მსოფლიოში ახალი ტენდენციებია. უნივერსიტეტში იძენენ (ამ მხრივ მოწინავე გახლავთ აშშ) ინოვაციური პროდუქტის წარმოების ფუნქციებს. მნიშვნელოვანია რეგულირების ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომელიც სტიმულს მისცემს ინოვაციურ-შემოქმედებით-სამეწარმეო განვითარებას. სიამოვნებით ვითანამშრომლებთ ამ სფეროშიც ფოჯას უნივერსიტეტთან და იტალიის ბიზნესთან, ერთობლივი წარმოებების ჩამოსაყალიბებლად და ინვესტიციების მოსაზიდად“, — განაცხადა ზურაბ გასიტაშვილმა.

მივა საქმე უვიზო რეჟიმის გაუქმებამდე?

შვეიცარიული გამოცემის, „TAGES-ANZEIGER“-ის მიერ გამოქვეყნებული სტატია ეხება შვეიცარიაში საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მიღების განაცხადების რაოდენობის ზრდას, რაც ქვეყნის ხელისუფლებას პრევენციული ზომების მიღებას აიძულებს.

საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE გთავაზობთ რაფაელა ბირერის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან მიმოხილვას:

„საქართველო — თანამედროვე, ევროპული სახელმწიფო. სწორედ ასეთი სახით წარსდგა კავკასიური ქვეყანა ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე. გამოფენის საპატიო სტუმარი განთქმულია თავისი კულტურული მრავალფეროვნებით, ტურიზმით და სწრაფად განვითარებადი დემოკრატიით. საქართველო დასავლეთს ეკონომიკური თვალსაზრისითაც უახლოვდება: 2016 წელს ძალაში შევიდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, მიმდინარე წლიდან კი საქართველო თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციაშიც (EACT) გაერთიანდა, რომლის წევრი შვეიცარიაც არის. ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმებითაც საქართველოს სურს, დაადასტუროს, რომ ის ევროპის ზღურბლზე იმყოფება“, — აღნიშნულია სტატიაში.

მაგრამ, როგორც ავტორი წერს, **„ქვეყნის ამგვარ ევროპულ სახეს თავშესაფრის მიღების მსურველთა სტატისტიკა აფუჭებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეთა განაცხადებებმა მკვეთრად იმატეს: 2018 წლის მხოლოდ იანვარ-სექტემბრის მონაცემებით 672 მსურველი დაფიქსირდა, 2017 წელს 670 მსურველი იყო, რაც 44%-ით მეტია 2016 წელთან შედარებით. ანუ ქვეყნების მიხედვით, თავშესაფრის მსურველთა პირველ ოთხეულში საქართველოს წინ მხოლოდ ერიტრეა, სირია და ავღანეთია. ზოგიერთი კრიტერიუმის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში ქართველებს უკვე პირველი ადგილიც შეიძლება მივაკუთვნოთ“,** — განაგრძობს ავტორი.

„შვეიცარიაში ჩასული საქართველოს მოქალაქეები ადრე სხვა ქვეყანაში ნამყოფი არ არიან. რით შეიძლება ეს ფაქტი აიხსნას? შვეიცარიის ხელისუფლებისათვის სავსებით ნათელია: თავშესაფრის მიღების მსურველთა რაოდენობის ზრდა ვიზალიბერალიზაციას უკავშირდება“, — ხაზგასმულია სტატიაში. ავტორი წერს, რომ საქართველოს მოქალაქეების განაცხადების განხილვა მოკლე ვადებში ხდება და მათი აბსოლუტური უმეტესობა უარის ვერდიქტით მთავრდება. შემდეგ კი სპეციალური ავიარეისებით საქართველოში მათი რეპატრიაცია ხორციელდება. ამ საკითხებზე შვეიცარიის მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს წარმომადგენელი მარიო გატიკერი ბერნში საქართველოს ელჩსაც შეხვდა, ხოლო სამდივნოს ვიცედირექტორმა ვინჩენცო მასკიოლმა სიტუაცია პარლამენტის სპიკერს და შინაგან საქმეთა სამინისტროსაც გააცნო. პრობლემა ცნობილი გახდა ევროკომისიისთვისაც.

„თავის მხრივ საქართველოც იღებს ზომებს მიგრანტთა შემცირების მიზნით, ქვეყანაში მიმდინარეობს კამპანია, რომლის თანახმად, შენგენის ზონაში წამსვლელებს განუმარტავენ, რომ თავშესაფრის მიღების პერსპექტივა არ არსებობს. საქართველოს პარლამენტმა კანონებში ცვლილებებიც შეიტანა“, — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში ციტირებულია შვეიცარიელი ჩინოვნიკების — ბარბარა შტეინემანისა და თომას მატერის განცხადებები, რომელთა მიხედვით, **„საქართველოდან შვეიცარიაში არა მხოლოდ ეკონომიკური მიგრანტები ჩამოდიან, არამედ ბევრი კრიმინალებიც, რომლებიც იოლად სარგებლობენ უვიზო რეჟიმით“.**

სტატისტიკის მიხედვით, 2016 წელს, პოლიციის მონაცემებით, სისხლის სამართლის დანაშაული 435-მა ქართველმა ჩაიდინა, 2017 წელს - 631-მა, ანუ რაოდენობა 45%-ით გაიზარდა. ჩადენილ დანაშაულობათა 2/3 ქონებრივ სფეროს მიეკუთვნება: **„ბინების ძარცვის დროს პოლიცია სულ უფრო მეტი საქართველოს მოქალაქეს აკავებს“,** — ითქვა კანტონების პოლიციის წარმომადგენელთა კონფერენციაზეც. **შვეიცარიის ბუნდესრატს (ფედერალურ მთავრობას) უკვე აქვს იმის საფუძველი, რომ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის გაუქმება მოითხოვოს“,** — ხაზგასმულია სტატიაში.

„Tages-Anzeiger“ (შვეიცარია)

სანთელი

ღირსეული მეცნიერი და პედაგოგი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, სტუდენტები, რეზიდენტები და მკვლევარები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თენგიზ ზანგალაძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანის ანატომიის კათედრის ყოფილი დოცენტი.

ბატონი თენგიზ ზანგალაძე საქართველოს მომავალ მედიკოსთა აღმზრდელების პატივსაცემი კოჰორტის გამორჩეული წარმომადგენელია. მან კომპეტენციით, კაცთმოყვარეობით, სიკეთით და ვაჟკაცობით წარუშლელი კვალი დატოვა უმაღლეს სამედიცინო განათლებაში ჩვენს ქვეყანაში; უდავო და რელიეფურია მისი წვლილი საქართველოს სამედიცინო განათლების თითქმის ასწლოვანი კერის — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებასა და ავტორიტეტში.

1959 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად — უნივერსიტეტის) დამთავრების შემდეგ ბატონმა თენგიზმა საექიმო საქმიანობა საქართველოს რეგიონებში დაიწყო და, სრულიად ახალგაზრდამ, წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას. მოგვიანებით, 1964 წლიდან იგი მის Alma Mater-ში დაბრუნდა და კათედრაზე (2006 წლიდან — დეპარტამენტი) შეუდგა აკადემიურ საქმიანობას. 40 წელზე მეტ ხანს ემსახურა ბატონი თენგიზი ფუნდამენტური მედიცინის იმ სფეროს, რომელიც განმსაზღვრელია მომავალი ექიმის პროფესიული მსოფლმხედველობის და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ადამიანის ანატომიას. იგი წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ჯერ ასისტენტის, მოგვიანებით კი — დოცენტის თანამდებობაზე. მისი სამეცნიერო ინტერესის საგანს თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში, უპირატესად, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის სისტემის კვლევა წარმოადგენდა. ამ მიმართულებით იგი 50-მდე პუბლიკაციის და მნიშვნელოვან სამეცნიერო ფორუმებზე წარდგენილი სამეცნიერო მოხსენებების ავტორია.

ბატონი თენგიზის დახვეწილობა, სიდარბაისლე, სანდოობა, კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი, ქარიზმატულობა მუდამ სამაგალითო იქნება მათთვის, ვისაც მასთან საქმიანი თუ ადამიანური ურთიერთობა ჰქონია. იგი ძალიან უყვარდათ სტუდენტებს, პატივს სცემდნენ კოლეგები და, ზოგადად, სამედიცინო საზოგადოება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გულისტკივილით ემშვიდობება ბატონ თენგიზ ზანგალაძეს — უნივერსიტეტის ისტორიის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

საქართველო ძალიან ლამაზი და მიმზიდველი ქვეყანაა და ის დაიმკვიდრებს საკუთარ ადგილს ტურიზმის სექტორში

ინოვაციები, რომლებსაც ახლა საქართველოში წარვადგენთ, მნიშვნელოვნად შეცვლიან როგორც ტურიზმს, ისე ყველა სხვა ბიზნესებს, — ამის შესახებ მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო ფორუმი Welcome Challenge-ის სპიკერმა, National Geographic Traveler-ის დამფუძნებელმა და ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა დაუნ დრიუმ განაცხადა. მისი თქმით, კონფერენცია Welcome Challenge-ი მთელს მსოფლიოში კარს გაუხსნის საქართველოს და წარმოაჩენს მას, როგორც ქვეყანას, რომელსაც უნდა ესტუმრო, რათა გაეცნო როგორც ტურიზმის, ისე სხვა სფეროებში დანერგილ ტექნოლოგიებს. ვფიქრობ, რომ ეს დიდი დასაწყისია,“ — განაცხადა მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო ფორუმი Welcome Challenge-ის სპიკერმა, National Geographic Traveler-ის დამფუძნებელმა და ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა დაუნ დრიუმ.

„მოხარული ვარ, რომ ეს გლობალური ფორუმი აქ ტარდება. საქართველო ძალიან ლამაზი და მიმზიდველი ქვეყანაა და მე ვფიქრობ, რომ ის დაიმკვიდრებს საკუთარ ადგილს ტურიზმის სექტორში. რაც შეეხება ახალ ტექნოლოგიებს, მას მოაქვს ახალი ბიზნესი, ახალი შესაძლებლობები და ასევე, აახალგაზრდავებს და სიცოცხლით ავსებს ქვეყნებს“, — განაცხადა დაუნ დრიუმ.

ვულოცავთ!

დასაფასებელი, ფუტკარივით მოფუფსუსე ქალბატონი

ნანა ჭიჭინაძეს ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს და „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭებას. თქვენ თქვენი პროფესიონალიზმით, ცხოვრების წესით მართლაც გამორჩეული ადამიანი ხართ.

ჩვენი ოჯახების უახლოესო მეგობარო, ქალბატონო ნანა, თქვენი შემართება და აქტიურობა, თქვენი უანგარო, თავდადებული საქმიანობა კულტურულ ცხოვრებასა და მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის საქმიანობაში დასაფასებელია. „ღირსების ორდენის“ კავალერს, იაკობ გოგებაშვილისა და ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის პრემიების ლაურეატს კიდევ ერთი ტიტული შეგემატათ — გერქვას მშობლიური ქალაქის „საპატიო მოქალაქე“, დიდი დაფასებაა. „პირადად ჩვენ სათუთად ვინახავთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ თქვენს წერილებს ჩვენი საქმიანობის შესახებ. დიდი მადლობა ამ სოლიდურ გაზეთს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად.

უფალი გფარავდეთ!

ვაჟა მამაიაშვილი, თამაზ კობაიძე
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები;
ვახუშტი ქიზიყურაშვილი,
საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარე.

ქართული ღვინის დეგუსტაცია კრაკოვში

ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონეთის ქალაქ კრაკოვში, კულინარიის ფესტივალზე „Najedzeni Fest“ გაიმართა. ფესტივალი

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კრაკოვში და იქ მოწყობილ ქართულ კუთხეში ყველა ის ღვინო იყო წარმოდგენილი, რომლის იმპორტიც საქართველოდან პოლონეთში ხორციელდება. ამჟამად საქართველოდან პოლონეთში ღვინის ექსპორტს 40-ზე მეტი კომპანია ახორციელებს.

ფესტივალზე ქართული ღვინის წარდგენა, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Malinova“-ს ორგანიზებით გაიმართა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი ჩოლობარგიას განცხადებით, პოლონეთში მარკეტინგული აქტივობები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

„ქართული ღვინის სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარზე, პოლონეთში, მარკეტინგული აქტივობები 2012 წლიდან დაიწყო. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიება პოლონეთში მთელი წლის მანძილზე ტარდება. შედეგიც სახეზეა: 2012 წელს საქართველოდან პოლონეთში ექსპორტი 1 მლნ ბოთლი იყო, გასული წლის ბოლოს ექსპორტირებული ღვინის რაოდენობამ 2,7 მლნ ბოთლს მიაღწია“ — აღნიშნა ირაკლი ჩოლობარგიამ.

ჩაის ცერემონია და იაპონური კალიგრაფიის ჩვენება ბოტანიკურ ბაღში

ბოტანიკურ ბაღში ჩაის ცერემონიის ჩატარება უკვე ტრადიციად იქცა. სპეციალურად ამ დღისთვის, საქართველოში სახელგანთქმული იაპონელი ოსტატები ჩამოდიან, რომლებიც ბაღის სტუმრებს თავიანთ ხელოვნებას აცნობენ. წელს ჩაის ცერემონია და იაპონური კალიგრაფიის ნიმუშები იაპონიიდან საგანგებოდ მოწვეულმა ოსტატებმა ნაოლო მაცუდაირამ და ლუკას აკემმა წარმოადგინეს.

„მოხარული ვარ, რომ იაპონურ ბაღში, რომელიც ქართველი და იაპონელი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ იქცა, კიდევ ერთხელ ვმასპინძლობთ ჩაის ცერემონიას და იაპონური კალიგრაფიის ჩვენებას. შესანიშნავი იყო ოსტატ ნაოლო მაცუდაირის მიერ ჩაის მომზადების ხელოვნების ჩვენება. წლევანდელი ღონისძიება განსხვავებული და უფრო დატვირთული გახდა იმით, რომ იაპონური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოსტატმა ლუკას აკემმა იაპონური კალიგრაფიის ნიმუშების, შოდოს შექმნის ნახვის შესაძლებლობა მოგვცა“, — განაცხადა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორმა თამაზ დარჩიძემ.

იაპონური ბაღი საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში თბილისის მერიის, იაპონიის საელჩოსა და JTI-ს მხარდაჭერით 2016 წელს გაშენდა და ქართველ და იაპონელ ხალხთა შორის მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

„ჰორიზონტი“ აშშ-ში საუკეთესო ფილმად დაასახელეს

თინათინ ყაჯრიშვილის „ჰორიზონტი“ The Santa Fe 6ndependent Film Festival-ზე საუკეთესო ფილმად აღიარეს, — ამის შესახებ vimooz.com წერს.

„ჰორიზონტი“ — ეს არის დრამატული ისტორია ერთი ქართველი ქალისა და მისი ოჯახის რთულ ცხოვრებაზე და ასევე იმაზე, როგორ შეიძლება გამოეცალოს ადამიანს საყრდენი საყვარელ ადამიანთან განშორების შემდეგ.

საქართველოსა და შვედეთის კოპროდუქციით შექმნილ ფილმში მონაწილეობენ ია სუხიტაშვილი, გიორგი ბოჭორიშვილი, სოსო გოგიჩაიშვილი, ნანა დათუნაშვილი, ჯანო იზორია და ლიკა ოქროშიძე.

„ჰორიზონტი“ თინათინ ყაჯრიშვილის მეორე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, მისი პირველი ფილმი „პატარძლები“ არაერთი პრიზის მფლობელი გახდა, მათ შორის არის სარაევოს მე-20 კინოფესტივალი, რომელზეც კინოსურათმა ორი პრიზი მიიღო.

„ჰორიზონტის“ მსოფლიო პრემიერა გაიმართა 2018 წლის 16 თებერვალს „ბერლინალეს“ სექციაში — Panorama.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

რედაქციას სასწრაფოდ ესაჭიროება კვალიფიციური დამკაბადონებელი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: კოსტავას ქ. №21, II სართული.
ტელეფონი: 599-79-76-79, 599-53-76-16, 599-36-00-35.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7082; ევრო - 3.1063;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5163;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4671;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5973;
1000 სომხური დრამი - 5.5908.

ამინდი 25 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +24
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +22
თბილისი: ღამე +13, დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge